

სამუდამო პატიმრობა მკვლელობის შეკვეთისთვის

A2



სალომე ზურაბიშვილი "მაფიის" წინააღმდეგ

A3



ერთი გუნდი დღეს, ხვალ, ყოველთვის!

A7

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ოთხშაბათი, 16 აგვისტო, 2006 წელი. №183 (1335) — ფასი 50 თეთრი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

## პოლიტიკა

### დროებითი ზავი მოქმედებს

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ოლმერტმა საკანონმდებლო ორგანოსადმი მიმართვაში აღნიშნა, რომ ქვეყნის ხელისუფლება არ აპირებს ლიბანში "ჰეზბოლა"-ს ლიდერების წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის შეწყვეტას გამოცხადებული დროებითი ზავის მიუხედავად. დაზავების შესახებ მხარეებმა განცხადება ორშაბათს გააკეთეს.

A3

## ბიზნესი

### British Petroleum-ი ეკოლოგიურ კატასტროფას გამორიცხავს

საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაცია Platform-ის შეფასებით, საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დაზიანების გამო ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრება.

A4

## სპორტი

### გაევროპელებული ბრაზილიელი

ემერსონ ფარეირა ტურინის "იუვენტუსიდან" წასული სხვა ფეხბურთელების მსგავსად, იტალიაში მოღალატედ შერაცხეს.

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 16/08 | 17/08 |
|---|---|---|
| თბილისი | 40 | 37 |
| ბათუმი | 41 | 41 |
| სოხუმი | 40 | 41 |
| ქუთაისი | 43 | 43 |
| გორი | 36 | 35 |
| ონი | 32 | 30 |
| ზუგდიდი | 43 | 45 |
| ახმეტა | 39 | 36 |
| სამტრედია | 42 | 43 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7580 |
| ევრო | 2.2390 |
| ბირთვანქა სტერლ. | 3.3244 |
| რუბლი | 0.0655 |


| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| ბიზნესი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| სპორტი | A 8 |


# პრეზიდენტს ზემო აფხაზეთის აღმშენებლობის ტემპი არ მოსწონს

რეზერვისტთა ბანაკიდან დაბრუნებულმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ მთავრობის რიგგარეშე სხდომა მოიწვია და მინისტრთა კაბინეტის წევრებს "ყვითელი ბარათი" უჩვენა.

**"მიუხედავად იმისა, რომ უკვე ბევრი რამ გაკეთდა, კოდორის ხეობის აღმშენებლობის პროცესის დაწყების ტემპი არ მომწონს,"** - უკმაყოფილობას არ მალავს საქართველოს პრეზიდენტი. იგი ავალებს შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს, რომ, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელთან ერთად, "ჩაიბაროს" ზემო აფხაზეთი - კოდორის ხეობა, და სექტემბრის ბოლომდე უზრუნველყოს გამართული ინფრასტრუქტურის შექმნა. ამასთან, სახელმწიფოს ლიდერი მოითხოვს, ეს ისეთ მაღალ დონეზე გაკეთდეს, რომ ვინმეს რაიმე სახის პროვოკაციაზე ხელი ვერ წაუცდეს.

**"თუ საჭიროა, აეროდრომი სამ კვირაში უნდა ააშენოთ. თუ საჭიროა, ერთ თვეში ახალი ქალაქი უნდა ააშენოთ. ქალაქი თუ არა, დასახლებული პუნქტი მაინც, სადაც აფხაზეთის მთავრობა განთავსდება. კოდორში უნდა იყოს ისეთი აღმშენებლობა, რომ მთელმა დანარჩენმა აფხაზეთმა დაინახოს - ის, რაც მათ ომისშემდგომი 11 წლის განმავლობაში ვერ გააკეთეს, საქართველოს მთავრობამ ერთ თვეში გააკეთა,"** - ზერთულ ამოცანას უსახავს პრეზიდენტი კაბინეტს და იქვე მორიგ გაფრთხილებას იძლევა: **"ეს არის კატეგორიული დავალება და მის შესრულებაზე ყველანი აგებთ პასუხს."**

მიხეილ სააკაშვილი მთავრობას მაგალითად უსახავს აჭარის ხელმძღვანელის ინიციატივას, რომელიც რამდენიმე ათეული ასაწყობი კოტეჯის კოდორის ხეობაში გაგზავნას გულისხმობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# შორეული აფრიკა - ახლო ხედით




*მამუკა ხაზარაძე საკუთარი შემოქმედების შესახებ.*

# "ხუთჭვაროსნები" "ვიკინგების" წინააღმდეგ




*ჩვენი გუნდი დღეს შესარჩევ ტურნირს იწყებს.*

# საქართველო-აზერბაიჯანის მთავრობები ბიზნესმენებთან ერთად აჭარაში იკრიბებიან

### რა მოლოდინი აქვს საქართველოს მთავრობას?

*ამ დღეებში აჭარა კიდევ ერთი ბიზნესფორუმისთვის და მაღალი რანგის სტუმრების მისაღებად ემზადება. დღეს გაიხსნება და მომდევნო ორი დღის განმავლობაში გაგრძელდება ბათუმში ქართულ-აზერბაიჯანული ბიზნეს და სამთავრობო შეხვედრები. ინვესტიციები, ტურიზმი, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ეკონომიკური თანამშრომლობა, საგარეო ვალი, საბაჟო და ბაქო-ერზერუმი - ეს ის საკითხებია, რაზედაც მეზობელი სახელმწიფოების მთავრობები ამ სამი დღის განმავლობაში იმსჯელებენ. აზერბაიჯანული დელეგაცია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი არტურ რასადი ხელმძღვანელობს, უკვე აჭარაში იმყოფება.*

მარიამ ჭაჭვაძე

ბაქო-ერზერუმიდან მისაღები ბუნებრივი აირის მოცულობა - ეს არის ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომლის საბოლოოდ გარკვევას საქართველოს მთავრობა სწორედ ამ შეხვედრებიდან ელოდება.

ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ვარაუდობს, რომ მოლაპარაკებისას, შესაძლოა, საბოლოოდ განისაზღვროს დამატებითი რესურსის ოდენობა და მისი ფასი.

შეგახსენებთ, რომ თურქეთთან და აზერბაიჯანთან დღეს არსებული კონტრაქტით, მილსადენის ამოქმედების პირველ წელს საქართველო ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენიდან წელიწადში 250 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს, თუმცა ქართული მხარე საკუთარი წილის მილიარდ-ნახევარ კუბურ მეტრამდე გაზრდას ითხოვს. ამ საკითხზე მოლაპარაკება პროექტის პარტნიორ სახელმწიფოებთან უკვე წელიწად-ნახევარია, მიმდინარეობს. ალბათ, ამიტომაც ქართული მხარე იმედოვნებს, რომ მოთხოვნა თითქმის სრულად დაკმაყოფილდება, რითაც ქვეყანას რუსული "გაზპრომის" გარდა, გაზის მიღების სხვა, უფრო სერიოზული ალტერნატიული წყარო გაუჩნდება.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ინციდენტი ციხეში - ნაცემია პატიმარი

ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მორიგი ინციდენტი მოხდა. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა განცხადებით, "რესბალინიცის" ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა პატიმარ გიორგი მიქიაშვილს სასტიკად სცემეს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რომ არა საავადმყოფოში მყოფი პატიმრები, გიორგი მიქიაშვილის სიცოცხლე საფრთხეში იყო.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარ გიორგი მიქიაშვილს შეხვდნენ, რომლის გადმოცემითაც, 14 აგვისტოს, ღამით, მას სასტიკად სცემეს სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, მათ შორის დირექტორის მოადგილემ - გოგა ბუთლიაშვილმა. პატიმარი ასევე ასახელებს სხვა ორი პირის სავარაუდო სახელებსაც - დათოს და იმედას და მიუთითებს, რომ შეუძლია მოძალადეები ამოიცნოს.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა ინფორმაციით, პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, პატიმარი გიორგი მიქიაშვილი უსაფრთხოების მიზნით გადაიყვანეს საიზოლაციო პალატაში. თუმცა, როგორც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები აცხადებენ, ე.წ. პალატები ტიპური კარცერია, სადაც საშინელი საყოფაცხოვრებო პირობებია და პატიმრის იქ ყოფნა წამება და ღირსების შემლახავი მოპყრობაა.

სახალხო დამცველის აპარატთან არსებული პაციენტთა უფლებების დაცვის ცენტრის ასისტენტის, ექიმ ლაბაურის შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ პატიმარს სხეულის სხვადასხვა ნაწილზე აღენიშნება სისხლნაჟღენთები და ექსკორიაციები, ასევე შუბლის ძვლის მარჯვენა მიდამოში, თავის თმოვან ნაწილში აღენიშნება ტრავმის შედეგად განვითარებული ბორცვისებური წარმონაქმნები. დაზიანებების შესახებ სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ შედგა შესაბამისი ოქმი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# იანუკოვიჩის პირველი გამოცდა

*პრორუსულ პოლიტიკოსად აღიარებული, უკრაინის ახალი პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იანუკოვიჩი რუსეთთან გაზის თემაზე მოლაპარაკებას შეეცდება. ეს პრემიერის პორველი ვიზიტი და პირველი რთული გამოცდაა.*

დიმიტრი ავალიანი

ვიქტორ იანუკოვიჩი ევრაზიის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ("ევრაზეესი") არაფორმალურ სამიტს დაესწრება, რომელიც გუშინ სოჭში გაიხსნა. სამიტს წევრი სახელმწიფოების - რუსეთის, ბელარუსის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის მეთაურები დაესწრებიან. უკრაინას, მოლდოვასა და სომხეთთან ერთად, გაერთიანებაში დამკვირვებლის სტატუსი აქვს, თუმცა აქამდე მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა არ მიუღია. "ევრაზეესის" პრიორიტეტებად საერთო საბაჟო საზღვრების ფორმირება და ერთობლივი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება არის გამოცხადებული.

15-17 აგვისტოს სამიტის მთავარი საკითხები საბაჟო კავშირის და საერთო ენერგეტიკული ბაზრის ფორმირებაა. თუმცა, ამ გლობალურ საკითხებზე მეტად, უკრაინის პრემიერს რუსული გაზის თემის განხილვა აინტერესებს. არ არის გამორიცხული, უკრაინის პრემიერმა სამიტი გაზის შუააზიელ მიმწოდებლებთან პირდაპირი მოლაპარაკებებისათვის გამოიყენოს.

წინა კვირაში იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირებას შეეცდება უცხოეთში, კერძოდ შუა აზიაში, ლიბიაში და სპარსეთის ყურის ქვეყნებში ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით. თუმცა, ეს შორეული პერსპექტივაა, ამჟამად კი უკრაინა ყველაზე მეტად რუსული გაზის ტარიფებითაა დაინტერესებული, რომელთა ოდენობაც კრემლისა და "გაზპრომის" ხელმძღვანელობის პოლიტიკურ სიმპათიებზე და გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული.

უკრაინაში პოლიტიკური კრიზისის პერიოდში "გაზპრომის" ხელმძღვანელები არაორაზროვნად მიანიშნებდნენ იმაზე, რომ დაპირისპირების მოსკოვისათვის არახელსაყრელი დასასრულის შემთხვევაში გაზის ფასები უკვე მიმდინარე წელს მოიმატებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

### მოკლედ

## შიმშილობა რუსთავის N6 საპყრობილეში

ადვოკატების ინფორმაციით, რუსთავის N6 საპყრობილეში მყოფი პატიმრების უმრავლესობა შიმშილობს. რუსთავის N6 საპყრობილეში მყოფი ერთ-ერთი პატიმრის გაიოზ გვერწითელის ადვოკატის გიორგი ტურაზაშვილის ინფორმაციით, დაკავებულები უკვე ერთი კვირაა უშედეგოდ შიმშილობენ. პატიმრები დაკავებულთა უფლებების გაცნობას, სამედიცინო დახმარების გაწევას და ელემენტარული პირადი ჰიგიენის დაცვის უფლებას მოითხოვენ.

"საპროტესტო აქციის გამო, პატიმართა უმეტესობა ამანათებს ვერ იღებს, რაც შეეხება უკვე გასამართლებულ პატიმრებს, მათ ოჯახის წევრებთან კანონით გათვალისწინებული პაემნებიც კი შეეზღუდათ", - განაცხადა ტურაზაშვილმა.

ადვოკატის თქმით, რუსთავის N6 საპყრობილეში მყოფი პატიმრების ადვოკატები დაკავებულთა უფლებების დაცვისთვის იუსტიციის სამინისტროს, სახალხო დამცველს და პარლამენტის ადამინის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს მიმართავენ.

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში კი აცხადებენ, რომ რუსთავის N6 საპყრობილეში რამდენიმე პატიმარი შიმშილობს. დეპარტამენტის ინფორმაციით, ადმინისტრაციისთვის ცნობილია მხოლოდ პაემნების სიხშირის გაზრდასთან დაკავშირებული მოთხოვნა. რაც შეეხება, პატიმრების საყოფაცხოვრებო მოთხოვნებს, ამ ინფორმაციას დეპარტამენტი არ ფლობს.

"პატიმრების ოჯახის წევრებთან შეხვედრების რაოდენობის გაზრდა საქართველოს პარლამენტის პრეროგატივაა და არა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის. მოშიმშილე პატიმრებს ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები შეხვდნენ და პაემნებთან დაკავშირებული პროცედურები განუმარტეს", - განაცხადეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. **ინტერპრესნიუსი**

## კვიციანის "ლენდროვერი"

ემზარ კვიციანის კოდორის ხეობიდან გაქცევის შემდეგ სამართალდამცველებმა მისი კუთვნილი მრავალი კანონსაწინააღმდეგო ნივთი აღმოაჩინა. გუშინ კი კოდორის ხეობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ემზარ კვიციანის "ლენდროვერის" მარკის ავტომანქანა აღმოაჩინეს. ავტომანქანა კოდორის ხეობის ზემო ნაწილის ტყის მასივში იყო გადამალული. გავრცელებული ინფორმაციით, კვიციანი ბოლოს სწორედ აღნიშნული "ლენდროვერით" შევიდა კოდორის ხეობაში. ყოფილი გუბერნატორი ხეობაში მესტიის გავლით მოხვდა, რის შემდეგადაც საქართველოს ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა. კვიციანის ავტომობილი დაილუქება მანამდე, ვიდრე მისი კანონიერი წარმომავლობა არ დამტკიცდება. **მედიანიუსი**

## საეას ბრალდებები ვანო მერაბიშვილის მიმართ

"საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი საკუთარ თანამშრომლებს საქართველოს ხელისუფლებით უკმაყოფილო ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლების ჩამოსაშორებლად იყენებს", - "საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული ასამბლეის" (საეა) ამ განცხადებას რუსული სააგენტო "როსბალტი" ავრცელებს.

საეა-ს განცხადებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში, სამი აზერბაიჯანელის მკვლელობის გამოძიებისას, ორგანიზაციამ გამოავლინა ამ დანაშაულებრივ ქმედებებში "საქართველოს ხელისუფლების მონაწილეობა".

საუბარია, მარნეულის რაიონის მკვიდრთა - სოვეტ ველიევისა და გიასოლლუ გაჯიევის, ასევე, თბილისში მცხოვრები დავუდ ნოვრუზოვის მკვლელობის საქმეზე. საეა ამტკიცებს, რომ ვალიევს ავტოკატასტროფა იმის გამო მოუწყვეს, რომ მას სურდა მარნეულში საწვავის იმ სადგურის პრივატიზება, რომელსაც "თვალი მარნეულის რაიონის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელმა ამირან შიბუთიძემ დაადგა".

"გაჯიევს ავტომატებით შეიარაღებულმა, შავებში ჩაცმულმა უცნობებმა ცეცხლი გაუხსნეს და მოკლეს. იგივე ჯგუფმა გაუხსნა ცეცხლი 6 აგვისტოს მცხეთის რაიონში "ჯიპს", რომელსაც ნოვრუზოვი მართავდა, რის შედეგადაც მძღოლი დაიღუპა, ორი აზერბაიჯანელი მგზავრი კი დაიჭრა", - აღნიშნულია განცხადებაში.

საეა ამტკიცებს, რომ "ადამიანები შავებში" არიან საქართველოს შს მინისტრს დაქვემდებარებული პირები.

"საქართველოს შსს-ს და გენერალური პროკურატურა დღემდე არ აწარმოებს საქმის ძიებას და ამასთან დაკავშირებით არც განცხადება გაუკეთებია", - ნათქვამია განცხადებაში. **ინტერპრესნიუსი**

## ადვოკატი ქრთამის გამოძალვისთვის დაისჯება

ადვოკატი ქრთამის გამოძალვის ფაქტზე დააკავეს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ქრთამის გამოძალვის ფაქტზე ადვოკატი ვიტალი ბიწაძე დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, ბიწაძემ ერთ-ერთი პატიმრის ნათესავს 2000 ლარი გამოსძალა.

დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, ადვოკატს მაქსიმუმ 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. **ინტერპრესნიუსი**

## სასჯელი უკანონოდ მოჭრილი ხეებისთვის

გარემოს დაცვის ინსპექციის კახეთის ბიუროს თანამშრომლებმა ოპერატიული რეიდის დროს, თელავის რაიონის სოფელ ფშაველში, სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე, უკანონოდ მოჭრილი ასი კუბური მეტრი წიფლის ჯიშის სამასალე მორები აღმოაჩინეს.

როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსმა შალვა აბუსერიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სარეალიზაციოდ გამზადებული სამასალე მერქანი საშეშედ იყო დაფიქსირებული. ფშაველში უკანონო ჭრები ამავე სოფლის სატყეო უბნის უფროსის მიხეილ თამარაშვილის ხელშეწყობით მიმდინარეობდა. სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო მიხეილ თამარაშვილს დაკავებული თანამდებობის დატოვება და სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის - 20 ათასი ლარის გადახდა მოუწევს. საქმე შემდგომი გამოძიებისთვის საოლქო პროკურატურას გადაეცა. შალვა აბუსერიძის თქმით, უკანონო ჭრების მინიმუმამდე დასაყვანად მსგავსი სანქციები ნებისმიერ კანონდამრღვევ პირზე გავრცელდება. **ინტერპრესნიუსი**

**ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 29 ივლისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისში განლაგებული შენობა-ნაგებობების ფასადების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 29 ივლისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისში განლაგებული შენობა-ნაგებობების ფასადების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და შესყიდვის ობიექტს დაემატოს 1 (ერთი) ლოტი (პოზიცია):

10. ლოტი (პოზიცია) - 27000მ²;

შესაბამისად სარემონტო ფართი განისაზღვროს - 8755მ2.

## კომპიუტერების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების ცვლილება

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006წ 26 ივლისს გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში კომპიუტერების *შესყიდვის შესახებ* შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

**- ლოტი N5** - ტექსტში ტერმინი "*FDD - 1.44MB, შეიცვალოს Ext FDD - 1.44"-ით*

**- ლოტებში NN 12,13,15** - ტექსტში ტერმინი *"warranty 3 years შეიცვალოს warranty 1 year"-ით*

**- ლოტებში NN 8,9,10,11,14** - ტექსტში ტერმინი *"warranty 2 years შეიცვალოს warranty 1 year"-ით*

2. საბუთების მიღების ვადა განისაზღვროს *17 აგვისტოს ნაცვლად 21 აგვისტოს.*

*3. შპს* "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოქვეყნებული კომპიუტერების *შესყიდვის შესახებ* სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

სატენდერო კომისია

# სამუდამო პატიმრობა მკვლელობის შეკვეთისთვის

*თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ კიდევ ერთი გახმაურებული დანაშაულის სასამართლო განხილვა დაასრულა. საუბარია, 2002 წლის 13 აგვისტოს თბილისში მომხდარ მკვლელობაზე - იმ დღეს, "ეი-ი-ეს თელასის" ფინანსური დირექტორი ნიკა ლომინაძე სამართალდამცველებმა მშობლების ბინაში მოკლული იპოვეს.*

**"ამ საქმის გახსნა და მკვლელობის შემკვეთის დაკავება კიდევ ერთხელ მაძლევს საშუალებას, რომ განვაცხადო: საქართველოში ხელშეუხებელი პირები არ არსებობენ და დაისჯება ყველა, ვინც დანაშაული ჩაიდინა"**, - რამდენიმე თვის წინათ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გაკეთებული ამ ხმამაღალი განცხადების საფუძველი, ოთხი წლის წინათ მომხდარი გახმაურებული დანაშაულის, "AES თელასის" ფინანსური დირექტორის ნიკა ლომინაძის მკვლელობის გახსნილად გამოცხადება გახდა. 2006 წლის 6 აპრილს, "თბილგაზის" შენობაში სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ ჟურნალისტების თანდასწრებით ჩატარებული სპეცოპერაციისას, საკუთარ კაბინეტში დააკავეს "თბილგაზის" გაკოტრების მმართველი გიორგი გვიჩიანი და "მირანდას უფლებების" გაცნობასთან ერთად მას აუწყეს, რომ ეჭვმიტანილია 2002 წლის 13 აგვისტოს "AES თელასის" ფინანსური დირექტორის ნიკა ლომინაძის მკვლელობის ორგანიზებაში.

20 ათასი დოლარი - ეს ის თანხაა, რომელიც გამოძიების მტკიცებითა და მოწმის, ნოდარ გვიჩიანის ჩვენების თანახმად, გიორგი გვიჩიანმა ნიკა ლომინაძის მკვლელობაში უყოყმანოდ გადაიხადა. მკვლელობის მოტივი კი, უკანონო ჩათვლების დაფარვის მიზნით ჩატარებული ფინანსური მაქინაციაა, რომლის შედეგადაც რუსეთის ჯარების შტაბის მიერ ელექტროენერგიის მოხმარებისთვის გადახდილი 4 მილიონი ლარი დაიკარგა. ამ მაქინაციის მონაწილე პირები რუსეთის ჯარების შტაბის მხრიდან, დიდი ხანია, რაც საქართველოში აღარ არიან.

გიორგი გვიჩიანთან ერთად სამართალდამცველებმა დააკავეს ნიკა ლომინაძის მკვლელობის შემსრულებლებიც - ნიკა ჩემია და ავთანდილ ხერკილაძე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ ნიკა ლომინაძის საქმის სასამართლო განხილვა დაასრულა და განსასჯელებს განაჩენი გამოუტანა. მოსამართლე ნინო სანდოძემ სახელმწიფო ბრალმდებლების მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა - გიორგი გვიჩიანსა და ნიკა ჩემიას სასჯელის უმაღლესი ზომა სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა, ხოლო ავთანდილ ხერკელაძე პროკურატურის მიერ შეთავაზებულ გარიგებას, საპროცესო შეთანხმებას დათანხმდა და, ამიტომაც, მას რვა წლით პატიმრობა შეეფარდა.



ინტერპრესნიუსი

*გიორგი გვიჩიანს გამარჯვების იმედი აქვს.*

ნიკა ჩემიასა და ავთანდილ ხერკელაძეს ნიკა ლომინაძის განზრახ მკვლელობის გარდა, ბრალად ედებათ თურქი ბიზნესმენის ეკრემ სერბესტის განზრახ მკვლელობა და ყაჩაღობა.

გვიჩიანის ადვოკატის ალექსანდრე ალადაშვილის განცხადებით, "მოხდა კიდევ ერთი უსამართლობა, რადგან შეკვეთა უნდა შესრულებულიყო." მისივე თქმით, იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენს ერთი თვის ვადაში სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

ნიკა ლომინაძის მამის ნოდარ ლომინაძის განცხადებით, "განაჩენი ობიექტურია, ყველამ უნდა იცოდეს, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ადამიანი აუცილებლად დაისჯება".

თავად გიორგი გვიჩიანი აცხადებს, რომ მის მიმართ ეჭვები იმ ჩვენებების გამო გაჩნდა, რომელიც სამართალდამცველებს მისი ოჯახის პირადმა მტერმა ნოდარ გვიჩიანმა მისცა.

**"სწორედ ამ ადამიანის ცრუ ჩვენების საფუძველზე ჩაცხრილეს აფრასიძეებიც"**, - აცხადებდა გიორგი გვიჩიანი, რომელმაც მოსამართლის მიერ მისთვის გამოტანილ უმძიმეს განაჩენს იმედიანი კომენტარი გაუკეთა: "სიმართლეს მაინც დავადგენ და გავიმარჯვებ".

*24 საათი*

# ხანძარი გაზგასამართ სადგურში

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

15 აგვისტოს, ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე მდებარე გაზგასამართ სადგურში "ერაზის" მარკის ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა, რის შედეგადაც მძიმედ დაშავდა ავტომანქანის მძღოლი და იქვე მყოფი ორი პირი. სასწრაფო დახმარების ექიმებმა დაშავებულები ქუთაისის N1 საკლინიკო საავადმყოფოში გადაიყვანეს.

23 წლის ირაკლი ვეროვსკი, 43 წლის ამირან ნარჩემაშვილი და 35 წლის ვალერი ლომთაძე სხეულის მძიმე დამწვრობებით, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოათავსეს. ექიმების თქმით, დაშავებულთაგან ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ვალერი ლომთაძე იმყოფება, რომელსაც დამწვრობა თავისა და გულ-მკერდის არეში აღენიშნება. სხეულის დიდი ნაწილი აქვთ დამწვარი დანარჩენ ორ დაზარალებულსაც.

ჯერჯერობით გაურკვეველია, რამ გამოიწვია უბედური შემთხვევა. თვითმხილველების თქმით, "ერაზის" მარკის ავტომანქანას მისაბმელში ჰქონდა ჩამონტაჟებული გაზის სატუმბი მოწყობილობა, რასაც გაზის გაშვების მომენტში ცეცხლი მოეკიდა და აფეთქდა.

მიყენებული ზიანის დასადგენად შემთხვევის ადგილზე გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთ საქართველოს ბიუროს წარმომადგენლებიც მივიდნენ, თუმცა გამოძიების დეტალები ცნობილი მოგვიანებით გახდება.

# ინციდენტი ციხეში - ნაცემია პატიმარი

პირველი გვერდიდან

"საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მე-18 მუხლის "დ" პუნქტის თანახმად, სახალხო დამცველს უფლება აქვს "სახელმწიფო და - ან არასახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით ჩაატაროს საექსპერტო გამოკვლევები და მოამზადოს დასკვნები, მოიწვიოს სპეციალისტები საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა შესასრულებლად".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოზარ სუბარი მიმართავს საქართველოს იუსტიციის მინისტრს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ნება დართოს ნუგზარ თოფურიძეს (სასამართლო - სამედიცინო ექსპერტი) და მიხეილ მჟავანაძეს (სასამართლო - სამედიცინო ექსპერტი), რომლებიც წარმოადგენენ დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ "ვექტორს", ჩაუტარონ ექსპერტიზა პატიმარ გიორგი მიქიაშვილს ფიზიკური დაზიანებების ხარისხის დასადგენად.

ექსპერტიზის ხარჯებს ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი "ემპათია".

ასევე, სახალხო დამცველი მოითხოვს, პატიმარ გიორგი მიქიაშვილს ჩაუტარდეს კომისიური სამდიცინო ექსპერტიზა, რათა საბოლოოდ დაზუსტდეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და მოთავსებულ იქნეს შესაბამისს სამედიცინო დაწესებულებაში.

სოზარ სუბარი მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება იუსტიციის სამინისტროს პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარ გიორგი მიქიაშვილი ცემის ფაქტზე.

გიორგი მიქიაშვილი რამდენიმე თვის წინათ დააპატიმრეს და მას ბრალი დასდეს პატრულისთვის წინააღმდეგობის გაწევაში. თუმცა, როგორც მოგვიანებით დადგინდა, პატრულის თანამშრომელმა იგი სასტიკად ცემა. ცემის შედეგად მიღებული ტრავმისგან გიორგი მიქიაშვილმა უმძიმესი ფსიქიკური დაზიანებები მიიღო. თუმცა, პატრულის თანამშრომელს, რომელმაც გიორგი მიქიაშვილი სცემა, პასუხისგებაში არავის მიუცია. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოთხოვნას დაზარალებული მხარე კატეგორიულად ითხოვდა და არსებობს კიდეც ექსპერტიზიას დასკვნები, რომელიც ადასტურებს, რომ გიორგი მიქიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია.

**"გუშინწინ გიორგის, ფაქტობრივად, მთელი კორპუსი დაესია, რომ არა დავით მირცხულავა და დირექტორის მოადგილე მაიზერ გვიჭიანი, გიორგის ალბათ მოკლავდნენ. სცემეს იმ ბადრაგსაც, რომელიც გიორგის იცავდა. ეს საშინელება ხდება იმიტომ, რომ არ დასაჯეს პატრული, რომელმაც ჩემს ძმას, 21 წლის სპორტსმენს, აბსოლუტურად ჯანმრთელ ადამიანს, სასტიკად სცემა და რის შედეგადაც იგი ფსიქიკურად დაავადდა. მეტიც, იმის მაგივრად, რომ ავთო ცაგარელი დაესაჯათ, ვანო მერაბიშვილმა იგი დააწინაურა. გიორგის სიცოცხლე ახლაც საფრთხეშია, რადგან მაქვს ინფორმაცია, რომ პატიმრებს მისცეს გიორგის მოკვლის დავალება"**, - აცხადებს გიორგი მიქიაშვილის და, ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი.

საქმე ისაა, რომ ახლახანს გიორგი მიქიაშვილის საქმე წარმოებაში მიიღო სტრასბურგის სასამართლომ, რასაც გიორგის წინააღმდეგ დაგეგმილი არა ერთი ინციდენტები მოჰყვა. როგორც ნინო მიქიაშვილი აცხადებს, გუშინწინდელი ცემის ერთ-ერთი მიზეზი სტრასბურგის სასამართლოს მიერ მათი სარჩელის მიღება გახდა. საქმე ისაა, რომ მიქიაშვილებს სტრასბურგიდან სარჩელის გამოტანა არა ერთხელ მოსთხოვეს.

გიორგი მიქიაშვილის უსაფრთხოება დაცული არ არის. გარდა ამისა, კიდევ უფრო დამძიმდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც. ოჯახის წევრები გიორგი მიქიაშვილის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანასა და მისთვის შესაბამისი მკურნალობის ჩატარებას ითხოვენ.

*24 საათი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10 % - დან 30 % - მდე

აირჩიეთ **ორი** ნომერი და დაარეგისტრირეთ "საქართველოს ტელეკომში"
**ერთი ნომერი** - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქ.თბილისის ტელეფონი)
**მეორე ნომერი** - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისათვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით "საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია!!! ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია

მხოლოდ **8-10** -ით

www.telecom.ge

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# პრეზიდენტს ზემო აფხაზეთის აღმშენებლობის ტემპი არ მოსწონს

პირველი გვერდიდან

**"სანამ ვიღაცებს ეძინათ, ვარშალომიძე ადგა და საქმის კეთებას შეუდგა. მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში გახურებული ტურისტული სეზონია, მან მაინც გამონახა დრო და კოდორის მოსახლეობისთვის კარგი საჩუქრის მომზადება მოახერხა. იმ ადგილს, სადაც კოტეჯები დაიდგმება, კოდორელებმა უკვე უწოდეს "აჭარის მოედანი"**, - აღნიშნავს პრეზიდენტი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებისგანაც კატეგორიულად მოითხოვს, რომ **"კოდორში თავიანთი მოედნები და ქუჩები შექმნან"**.

კოდორის ხეობის კეთილმოწყობის გარდა, გუშინ მიხეილ სააკაშვილმა მთავრობას სხვა დავალებაც მისცა. **"მინიმუმ 100 000-კაციანი რეზერვისტთა არმია და მსოფლიო სტანდარტების მქონე რეზერვისტთა ბანაკები,"** - ასეთია მიხეილ სააკაშვილის მოთხოვნა.

პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებისა და რისკების გათვალისწინებით, აუცილებელია, ქვეყანას ჰყავდეს რეზერვისტების ძლიერი, მრავალრიცხოვანი არმია, რომელიც საქართველოს არაკეთილმოსურნეებს დაუკარგავს ხალისს, რომ ქვეყანა სირთულეების წინაშე დააყენონ.

მიხეილ სააკაშვილი ავალებს პრემიერ-მინისტრს, თავდაცვისა და ფინანსთა მინისტრებს, რომ უახლოეს დღეებში შეიმუშაონ შესაბამისი გეგმა და გამონახონ სახსრები თანამედროვე სტანდარტების მქონე რეზერვისტთა ბანაკების შესაქმნელად.

პრეზიდენტის ამ განცხადებამდე რამდენიმე საათით ადრე საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა საკოორდინაციო შეხვედრა, სადაც ყურადღების ცენტრში ასევე კოდორის ხეობის თემატიკა იყო. მასში მონაწილეობდნენ სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში მერაბ ანთაძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი მანჯგალაძე, თავდაცვის მინისტრის მოადგილე მამუკა კუდავა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაძე. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, რომლებმაც მთავრობის წარმომადგენლებისგან კოდორის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციისა და ხეობაში ამჟამად არსებული ვითარების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

საკოორდინაციო შეხვედრაზე საქართველოს ხელისუფლების წევრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს მზადყოფნა იმისთვის, რომ 20 აგვისტოს შემდეგ კოდორის ხეობაში საერთაშორისო მონიტორინგი ჩატარდეს.

ამასთან, მერაბ ანთაძე მოითხოვს, რომ პარალელურად კოდორის ხეობის ქვედა ზონის მონიტორინგიც განხორციელდეს, რადგან, არსებული ინფორმაციით, ამ ტერიტორიაზე აფხაზური შეიარაღების კონცენტრირება შეინიშნება.

გუშინდელი საკოორდინაციო შეხვედრის დამთავრების შემდეგ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი მანჯგალაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ მონიტორინგში მხოლოდ გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლები და საერთაშორისო დამკვირვებლები მიიღებენ მონაწილეობას. თავის მხრივ, მერაბ ანთაძე აზუსტებს, რომ რუსეთის წარმომადგენელი მონიტორინგში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერთვება, თუ ის გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის ჯგუფის წევრი იქნება. რაც შეეხება რუს სამხედროებს, ანთაძის თქმით, მონიტორინგის განხორციელების პროცესში ისინი არავითარ შემთხვევაში არ დაიშვებიან.

ქართველი დიპლომატები აპელირებას 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმებაზე აკეთებენ. ამ დღეებში საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ კომენტარში ნათქვამია, რომ **"კოდორის ხეობა არ შედის უსაფრთხოების ზონაში და შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე სამშვიდობოების გადაადგილება შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს მხარესთან (აღნიშნული შეთანხმების 2,6 პუნქტი). მაშასადამე, საქართველოს მხარეს აქვს სრული სამართლებრივი საფუძველი, დაეთანხმოს მონიტორინგის ჩატარებას გაერო-ს დამკვირვებელთა მიერ და ამის უფლება მისცეს ან არ მისცეს რუს სამშვიდობოებს"**.

გარდა სამართლებრივი ასპექტისა, საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყება მორალურ მხარეზეც ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ ამ თვალსაზრისითაც **"აბსოლუტურად მიუღებელია კოლექტიური სამშვიდობო ძალების მონაწილეობა ხეობის მონიტორინგში იმ საერთო უნდობლობის ფონზე, რომლითაც ე.წ. სამშვიდობოები სარგებლობენ მთლიანად საქართველოში და განსაკუთრებით, აფხაზეთის ქართულ მოსახლეობაში"**.

**"ე.წ. სამშვიდობოების გამოჩენამ შეიძლება მღელვარება გამოიწვიოს კოდორის ხეობის მოსახლეობაში, ვინაიდან ისინი, მათი ქმედებიდან გამომდინარე, აღიქმებიან სეპარატისტული რეჟიმის დამცველებად და აგრესორებად,"** - აღნიშნულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის კომენტარში.

თუმცა, სამართლებრივი და მორალური კატეგორიები რუსული მხარისთვის უცხო ხილია. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების სამხედროებმა და გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლებმა გუშინ დილიდან აფხაზეთის კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიის ერთობლივი პატრულირება დაიწყეს.

ამ ინფორმაციას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ს სამშვიდობო ძალების პრესსამსახურის ხელმძღვანელი ვლადიმირ ანიკინიც ადასტურებს, რომელიც იქვე იმასაც დასძენს, რომ **"საპატრულო ჯგუფს თან ახლავს აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლობა"**.

*24 საათი*

# იანუკოვიჩის პირველი გამოცდა

პირველი გვერდიდან

თუმცა, უკრაინის შიდაპოლიტიკური კრიზისის დასასრული კრემლის ფავორიტის ვიქტორ იანუკოვიჩის გაპრემიერებით დასრულდა, და ეს უკანასკნელი არა თუ ფასების მომავალ ზრდაზე, მათი შემცირების პირობებზე ალაპარაკდა. დღეისთვის ტარიფი ათას კუბურ მეტრზე 95 დოლარს შეადგენს. იანუკოვიჩის თქმით, "თუ ფასების შემცირება ოდნავ მაინც შესაძლებელია, ჩვენ ამას შევეცდებით". მისი აზრით, ფასის "თუნდაც ერთი დოლარით შემცირება" უკვე მიღწევა იქნება.

თუმცა, პრემიერს აქვს უკრაინის გაზის პრობლემების გადაწყვეტის ასპროცენტიანი შანსი - თუ უკრაინის გაზის მთელ ინფრასტრუქტურას "გაზპრომს" გადასცემს. თუმცა, ამ შესაძლებლობით არც იანუკოვიჩის წინამორბედმა ისარგებლა, და ამას არც თავად ახლანდელი პრემიერი აპირებს. ყოველ შემთხვევაში, მან განაცხადა, რომ სანამ იგი პრემიერია, გაზის სისტემა უკრაინის საკუთრებაში დარჩება.

ზოგიერთი უკრაინელი ექსპერტის აზრით, თავად იანუკოვიჩს, ასევე უკრაინის ენერგეტიკის მინისტრს იური ბოიკოს "გაზპრომის" ხელმძღვანელობასთან კარგი პირადი ურთიერთობა აქვთ და მათთან საერთო ენის გამონახვა არ გაუჭირდებათ.

იანუკოვიჩი რუს კოლეგას მიხაილ ფრადკოვს დღეს შეხვდება. იმის მიხედვით, თუ რა შედეგებს მიაღწევს ამ მოლაპარაკებაზე უკრაინის პრემიერი, გასაგები გახდება, სარგებლობს თუ არა იგი კვლავინდებურად კრემლის ფავორიტის სტატუსით. ისიც გამოჩნდება, მზად არის თუ არა კიევი, ენერგეტიკული პრობლემების მოგვარების სანაცვლოდ საკუთარი პოლიტიკური კურსის კორექტირება მოახდინოს.

ყოველ შემთხვევაში, იანუკოვიჩი, როგორც პრემიერი, პრორუსული გაერთიანება "ევრაზეესის" სამიტზე მოსკოვთან კომპრომისული მოლაპარაკების ფონს ქმნის. პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო, მიმომხილველების აზრით, ამგვარ მისიას ვერასდროს შეასრულებდა.

# სალომე ზურაბიშვილი "მაფიის" წინააღმდეგ

*მოძრაობა "საქართველოს გზის" ლიდერის სალომე ზურაბიშვილის 52 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერა გუშინ მისი პარტიის წარმომადგენელმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგინა. თავად პარტიის ლიდერი ცესკოში არ გამოჩენილა.*

ნათია მსხილაძე

"საქართველოს გზამ" სხვა ოპოზიციურ ძალებთან გაერთიანებაზე უარი თქვა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა გადაწყვიტა. სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერები ხელმოწერებს რამდენიმე კვირის განმავლობაში თბილისის ყველა უბანში აგროვებდნენ. ზურაბიშვილის ინფორმაციით, ხელმომწერებს შორის არიან " ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის", "თავისუფლების ინსტიტუტისა" და " მრეწველების" წარმომადგენლები.

როგორც ცესკოს საოლქო-სარეგისტრაციო განყოფილებაში განმარტეს, კანონის თანახმად, გადამოწმდება ხელმოწერების 10 პროცენტი. თუკი კომისია დარღვევას ვერ აღმოაჩენს, კანდიდატი დარეგისტრირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, შემოწმდება ხელმოწერების შემდეგი 10 პროცენტი. "საქართველოს გზა" პირველი პარტიაა ახლადშექმნილ პარტიებს შორის, რომელმაც რეგისტრაციისთვის მხარდამჭერთა ხელმომწერები წარმოადგინა.

სალომე ზურაბიშვილის განაცხადებით, მისი პარტია მზად იქნება არჩევნებში მონაწილეობისთვის ნებისმიერ დროს. " **სექტემბერში ვაპირებ, საზოგადოებას გავაცნო პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა. საქართველოში სიტყვა დემოკრატიის მნიშვნელობა ბევრ ადამიანს არ ესმის, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ხელმოწერების შეგროვების პროცესში,"** -აცხადებს ზურაბიშვილი.

რეგისტრაციის პროცედურის დასრულების შემდეგ სალომე ზურაბიშვილმა ბრიფინგი გამართა, სადაც დასავლეთ საქართველოში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა.

როგორც ზურაბიშვილმა აღნიშნა, იგი ბოლო დღეების განმავლობაში, დასავლეთ რაიონებში ხვდებოდა მოსახლეობას და მათ პრობლემებს ისმენდა. მისი განცხადებით, გურიაში მოსახლეობას თხილის რეალიზაციის პრობლემა აწუხებს, რადგან თხილის ჩაბარების ფასი ხელოვნურად არის დაწეული, არადა ეს მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა.

"საქართველოს გზის" ლიდერმა, ბიზნესმენებს ზაზა სიორიძესა და ვანო ჩხარტიშვილს "მაფიის წევრები" უწოდა. მისი განმარტებით, სწორედ ამ ორი ადამიანის დამსახურებაა ბოლო დროს საქართველოს ბაზარზე თხილის ფასის მკვეთი დაცემა. " **სიორიძე და ჩხარტიშვილი თხილის მაფიაში არიან ჩართული და ხელოვნურად ახდენენ თხილის ფასის შემცირებას. ამით მხოლოდ ისინი ხეირობენ და ხალხს აზარალებენ. მოვითხოვ, ხელისუფლებამ ყურად იღოს და შეისწავლოს ამ ადამიანების საკითხი,"** - აღნიშნა ზურაბიშვილმა.

"გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ზაზა სიორიძე პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს გზის" ლიდერის, სალომე ზურაბიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას კატეგორიულად უარყოფს. სიორიძის განმარტებით, არც მას და არც ვანო ჩხრტიშვილს ამ საქმესთან შეხება არ აქვთ. **"არანაირი შეხება თხილის ბიზნესთან, არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი, მე და ვანო ჩხარტიშვილს არ გვაქვს... ამდენად, ქალბატონ ზურაბიშვილის განცხადებები აბსოლუტურად უსაფუძვლოა. პირადად ჩემთვის სამწუხაროა, რომ ისეთი სოლიდური ქალბატონი და პოლიტიკოსი, როგორიც სალომე ზურაბიშვილია, საჯარო განცხადებებს გადაუმოწმებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით აკეთებს,"** -აცხადებს ზაზა სიორიძე.




# დროებითი ზავი მოქმედებს

## "ჰეზბოლა" კი ისრაელის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ რჩება

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ოლმერტმა საკანონმდებლო ორგანოსადმი მიმართვაში აღნიშნა, რომ ქვეყნის ხელისუფლება არ აპირებს ლიბანში "ჰეზბოლა"-ს ლიდერების წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის შეწყვეტას გამოცხადებული დროებითი ზავის მიუხედავად. დაზავების შესახებ მხარეებმა განცხადება ორშაბათს გააკეთეს. დროებითი შერიგების პაქტი, ასე თუ ისე, მოქმედებს, ლტოლვილად ქცეული მოსახლეობა კი საკუთარ კერებს უბრუნდება.

ქნესეთში სხდომაზე ოლმერტმა ბოევიკების წინააღმდეგ წარმოებული სამხედრო კამპანიის დროს დაშვებულ შეცდომებზეც ისაუბრა, მაგრამ დასკვნით ნაწილში იმასაც გაუსვა ხაზი, რომ მისი ხელმძღვანელობით დაწყებული სამხედრო ქმედებები უშედეგო სულაც არ ყოფილა. მისი თქმით, ისრაელის არმიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა "ჰეზბოლა"-ს და ბოევიკების შეიარაღებისა და ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი გაანადგურა კიდეც, ამით კი ბოლო მოუღო თავად "ჰეზბოლა"-ს არსებობას სახელმწიფოს კონტექსტში ლიბანის სამხრეთ ნაწილში.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის ხმამაღალ განცხადებებს, რასაკვირველია არ ეთანხმება მისი მოწინააღმდეგე მხარე. როგორც "ჰეზბოლა"-ს ლიდერები აცხადებენ, ეჰუდ ოლმერტის განცხადება მტკნარი სიცრუეა. ჰასან ნასრალას თქმით, მისმა მომხრეებმა ისრაელთან კონფლიქტში "ისტორიული და სტრატეგიული" გამარჯვება მოიპოვეს. "ჰეზბოლა"-ს ლიდერმა "დიადი გამარჯვების" შესახებ დაჯგუფების კუთვნილ ტელევიზიაში სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა და რადგან გამარჯვება უკვე მოპოვებული აქვთ, მათ თავისუფლად შეუძლიათ განიარაღებაზე დაიწყონ ფიქრი, რასაც მათ გაერო-ს რეზოლუციაც სთხოვს. გარდა ამისა, ჰასან ნასრალამ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ "ჰეზბოლა"-ს წევრები ლიბანელებს სახლების აღდგენაშიც დაეხმარებიან, რომლებიც ისრაელის სარაკეტო დარტყმების დროს განადგურდა და მათ ფინანსურ დახმარებასაც აღმოუჩენენ.

"ჰეზბოლა"-ს ლიდერების პოზიციას, რასაკვირველია, არ იზიარებს აშშ-ს პრეზიდენტი, რომელიც მხარს სრულებით უჭერს ისრაელის მხარეს. როგორც აშშ-ს პრეზიდენტმა აღნიშნა, ლიბანის კონფლიქტში იგივე თავისუფლებისა და ტერორის ბრძოლაში დამარცხებული, კონფლიქტის ინიციატორი "ჰეზბოლაა". ჯორჯ ბუშს კრიტიკული განცხადებებიბს გაკეთება არც "ბოროტების ღერძის" სხვა ქვეყნების - ირანისა და სირიის მიმართ დავიწყებია. როგორც ცნობილია, ირანის პრეზიდენტმა ცოტა ხნის წინ "ჰეზბოლა"-ს მხარდამჭერი კიდევ ერთი განცხადება გააკეთა, როდესაც თქვა, რომ იგი ლიბანის სახალხო მოძრაობაა, რომელიც ვალდებულია საკუთარი ქვეყანა დაიცვას. აჰმადინეჯადმა აშშ-ს წინააღმდეგაც გაილაშქრა, როდესაც ოფიციალური ვაშინგტონი ისრაელის იარაღით მომარაგებაში დაადანაშაულა, რომელიც ლიბანში ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ გამოიყენებოდა.

ლიბანში მყოფი გაერო-ს შეიარაღებული ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი ალენ პელეგრინი კი უახლოეს დღეებში ამ ქვეყანაში სამშვიდობო კონტინგენტის გაზრდის აუცილებლობაზე საუბრობს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ლიბანისთვის მომზადებული გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის აღსრულება საფრთხის ქვეშ დადგება. რეზოლუციის მიხედვით, სამშვიდობო კონტინგენტის გაზრდა 2-დან 15 ათას ჯარისკაცამდეა მიზანშეწონილი, რომელთა დისლოკაციის ადგილიც ლიბანის სამხრეთი ნაწილი უნდა იყოს, რის შემდეგაც ისრაელი საკუთარი არმიის გამოყვანას დაიწყებს.

როგორც გაერო-ს წარმომადგენელი აცხადებს, ჯერჯერობით არცერთ ქვეყანას არ გამოუთქვამს სრული მზადყოფნა, გაგზავნოს საკუთარი ჯარისკაცები ლიბანის ტერიტორიაზე.

*ბი-ბი-სი*

## მოკლედ

### ევნევიჩი ქართულ მხარეს ადანაშაულებს

რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე ვალერი ევნევიჩი აცხადებს, რომ კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანის წინააღმდეგ წამოწყებული სპეცოპერაცია საქართველოს ხელისუფლებისთვის ხეობაში სამხედრო ძალების კონცენტრაციის საბაბი იყო. ევნევიჩის ინფორმაციით, ამ ეტაპზე კოდორის ხეოაში 2,5 ათასი ქართველი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება, რომლებიც ბლოკპოსტების მშენებლობითა და მიმდებარე ტერიტორიის დანაღმვით არიან დაკავებული.

რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილის თქმით, კოდორის ხეობაში სამხედრო ოპერაცია მიმდინარეობს, რაც არღვევს 1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულებას. **მედიანიუსი**

### ახალი სამხრეთოსური პასპორტი

სამხრეთ ოსეთმა დამოუკიდებლობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა, - განუცხადა თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა ჟურნალისტებს პასპორტების გაცემის კომენტირებისას.

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში ახალი ადგილობრივი პასპორტების გაცემა დაიწყო.

ახალი პასპორტის პირველი ეგზემპლარი ედუარდ კოკოითს გადაეცა.

"სამხრეთ ოსეთის მოქალაქის" პასპორტი გადაეცემა "სამხრეთ ოსეთის" ყველა მკვიდრს, რომელმაც 14 წლის ასაკს მიაღწია, მიუხედავად ეროვნული კუთვნილებისა. ახალი პასპორტის გარდა, დე-ფაქტო რესპუბლიკაში იმოქმედებს რუსეთის პასპორტიც.

პასპორტი წითელი ფერისაა. ყოველ გვერდზე გამოსახულია ოსეთის გერბი, ხელმოწერა კი ოსურ და რუსულ ენებზეა შესრულებული.

"სამხრეთ ოსეთის მოქალაქის" პასპორტი მხოლოდ რესპუბლიკის შიდა მოხმარებისთვის არის განკუთვნილი. **ინტერპრესნიუსი**

### წალკიდან რუსული სამხედრო ტექნიკა გავიდა

წალკის ტერიტორია რუსული ტექნიკით დატვირთულმა 15-მა ვაგონმა დატოვა. ეშელონში სამი ტანკი T-72, ერთი ტანკი T-34, ექვსი BRDM-2, სამი BTC-4 და 100 ტონა ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი იყო მოთავსებული.

17 აგვისტოს საქართველოს რუსული სამხედრო ტექნიკის კიდევ ერთი ნაწილი დატოვებს. ამჯერად ახალქალაქის ბაზიდან გიუმრისკენ ბოლო კოლონა გავა. 22 აგვისტოს კი წალკა-აზერბაიჯანი-რუსეთის ფედერაციის მიმართულებით მორიგი ეშელონი დაიძვრება. **ინტერპრესნიუსი**

### ღაზაში ამერიკული ტელეარხის "ფოქსის" ორი თანამშრომელი გაიტაცეს

ღაზაში ამერიკული ტელეარხის "ფოქსის" ორი თანამშრომელი გაიტაცეს.

ჟურნალისტი სტივ სენტანი და ოპერატორი ოლაფ ვიგი რამდენიმე კვირის განმავლობაში აკეთებდნენ რეპორტაჟებს ღაზას სექტორიდან. სენტანი და ვიგი საკუთარი მანქანიდან სხვა მანქანაში გადასხეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. ჯერჯერობით გაურკვეველია, ვინ დგას გატაცების უკან. ყველა პალესტინურმა სამხედრო დაჯგუფებამ ჟურნალისტთა გატაცებაში საკუთარი მონაწილეობა უკვე უარყო. **ინტერპრესნიუსი**

მოკლედ

## "ალდაგი" "ბანკ რესპუბლიკასთან" გარიგების დეტალებს აზუსტებს

სადაზღვევო კომპანია "ალდაგი" კატეგორიულად უარყოფს გუშინ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გასულ წელს "ბანკმა რესპუბლიკამ" კომპანია "ალდაგისგან" აქციათა 100 პროცენტი შეიძინა და ახლა "ალდაგის" მიერ მხოლოდ 50 პროცენტის გამოსყიდვა მოხდა. მათივე განცხადებით, სიმართლეს არ შეესაბამება არც ინფორმაცია მიმდინარე წლის განმავლობაში მოზიდული სადაზღვევო პრემიისა და ზარალის ანაზღაურებისათვის გაცემული თანხის შესახებ. "ალდაგის" მარკეტინგის განყოფილების უფროსმა ზაზა ბაიაძემ "ინტერპრესნიუსს" განუცხადა, რომ გავრცელებულ ინფორმაციაში ეს მაჩვენებლები განახევრებულია. "სადაზღვევო კომპანია "ალდაგმა" "ბანკ რესპუბლიკისაგან" აქციათა 50 პროცენტი უკან გამოისყიდა. ბანკმა აქციათა ზემოთ აღნიშნული მოცულობა გასულ წელს შეიძინა. აღვნიშნავ, რომ სადაზღვევო კომპანია "ალდაგს" არსებობის 15 წლის განმავლობაში უპირობო ლიდერის პოზიცია უკავია საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2006 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, სადაზღვევო ბაზარზე "ალდაგი" კვლავ პირველ ადგილზეა. მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში კომპანიამ 9 მილიონ 900 ათას ლარამდე სადაზღვევო პრემია მოიზიდა, რაც დიდი შუალედით უსწრებს მეორე პოზიციაზე მყოფ სადაზღვევო კომპანიას. ამავე წელს ზარალის დაფარვისათვის გაცემულმა თანხამ 2 მილიონ 300 ათას ლარს გადააჭარბა. "ბანკ რესპუბლიკასა" და სადაზღვევო კომპანია "ალდაგს" შორის გაფორმდა მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. მიმდინარე წელს დაგეგმილია საკმაოდ მასშტაბური ერთობლივი პროექტების განხორციელება," - განაცხადა ზაზა ბაიაძემ. **ინტერპრესნიუსი**

## საექსპორტო კოდის არარსებობა კომპანია Geofish-ს პრობლემებს შეუქმნის

კომპანია Geofish-ი სექტემბრის ბოლოსთვის 4 თევზსაჭერ გემს ჩამოიყვანს, - ამის შესახებ GBC-ს კომპანიის წარმომადგენელმა კობა გულიკაშვილმა განუცხადა. გულიკაშვილის განმარტებით, კომპანიას სეზონზე 10-12 ათასი ტონა ქაფშიას გადამუშავება შეუძლია. "ეს იმდენად ძვირადღირებული პროდუქტია, ადგილობრივ ბაზარზე მის შემოტანას არ ვაპირებთ და მხოლოდ ექსპორტზე ვიმუშავებთ," - აცხადებს გულიკაშვილი. გარდა ამისა, საწარმო თევზის ფქვილის წარმოებას და ქაფშიას ფილეს მომზადებასაც გეგმავს. თუმცა კომპანია Geofish-ი ერთი პრობლემის წინაშე დგას, ასეთი ტიპის პროდუქტის ექსპორტზე გატანა საექსპორტო კოდს საჭიროებს, ეს პრობლემა კი საქართველოში მოუგვარებელია. "საქართველოს არ გააჩნია საექსპორტო კოდი და შესაბამისი ლაბორატორია პროდუქციის ხარისხის შესამოწმებლად, რომ ის ექსპორტზე გავიდეს. ამ მიმართულებით სახელმწიფოს ჯერჯერობით არ უზრუნია," - ამბობს გულიკაშვილი. **GBC**

## კახეთში სიღარიბის დაძლევასა და სამუშაო ადგილების შექმნის თაობაზე იმსჯელეს

სიღარიბის დაძლევა და სამუშაო ადგილების შექმნა - ამ ეგიდით აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში კახეთში პირველი საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა. "ემ-სი-ჯი" და მისი კონტრაქტორი კომპანია "სი-ენ-ფი-ეი" ადგილობრივ მოსახლეობასთან დისკუსიაში ჩაერთო. როგორც "ინტერპრესნიუსს" "ემ-სი-ჯი"-ში განუცხადეს, პროექტი ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით ხორციელდება. თელავში, ყვარელსა და სიღნაღის რაიონებში დაგეგმილ შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად რეგიონის ფერმერები და სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული მეწარმეები შეიკრიბნენ. სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა საქართველოში აგრარული სექტორის განვითარებისთვის ამ პროექტის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ისაუბრა. "ემ-სი-ჯი"-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ლაშა შანიძემ კი აღნიშნა, რომ შეხვედრის მთავარი მიზანია, მიაწოდონ მოსახლეობას ამომწურავი ინფორმაცია პროექტის შესახებ, რათა პროექტმა გაამართლოს და ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნას. "ფერმერულ მეურნეობაში შემოსავლების გაზრდა საქართველოში სიღარიბის დაძლევის და სამუშაო ადგილების შექმნის გარანტი იქნება," - განაცხადა შანიძემ. შეკრებილებს პროექტის კომპონენტების, საგრანტო განაცხადებისა და გრანტის გაცემის შესახებ ინფორმაცია პროექტის მენეჯერმა როდ ბისინმა გააცნო.

როგორც "ემ-სი-ჯი"-ში აცხადებენ, მსგავსი საკონსულტაციო შეხვედრები საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

**სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაზეთის "24 საათი" მიმდინარე წლის 09 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში (საოფისე ავეჯი) შეტანილია შემდეგი ცვლილებები:**

1. ლოტი N2 (პირველი პოზიცია) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

კარტოთეკის კარადა - 250 ერთეული.

2. ლოტების ჩამონათვალს დაემატოს ლოტი N3 კარადა (სტელაჟი) 150X50X60h, 21 უჯრით, 7X3h, ლამინატი, უჯრის დამჭერი მეტალის.

## ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის სატენდერო კომისიის განცხადება

რაიონის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების I სართულის კეთილმოწყობის (კოდირებული საკეტის მქონე რკინის კარების დამზადება და სადარბაზოებში მათი მონტაჟი) სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა სს "ერისიმედი", რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

## დ ა ზ უ ს ტ ე ბ ა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2006 წლის 4 აგვისტოს, გაზეთ "24 საათში" (N174) გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებებში, რომლებიც შეეხებოდა ხაშური-ვალეს (თურქეთის საზღვარი) ს/გზის კმ16, კმ23, კმ32 მონაკვეთების პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესყიდვას, თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის ს/გზის 123-ე კმ-ში არსებული რკინაბეტონის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას და ქუთაისის-ტყიბული-ამბროლაურის ს/გზის კმ19(0.5), კმ20-კმ22, კმ23(0.12), კმ25, კმ26(0.65) მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შეყიდვას

მე - 4 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა სამივე ლოტზე საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 25 აგვისტოს 900 საათიდან 1800 საათამდე და 2006 წლის 29 აგვისტოს 900 საათიდან 1200 საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

სატენდერო კომისია

# საქართველო-აზერბაიჯანის მთავრობები ბიზნესმენებთან ერთად აჭარაში იკრიბებიან

პირველი გვერდიდან

საქართველოს ხელისუფლების ამ მოლოდინს ნიკა გილაური იმითაც ამყარებს, რომ თურქეთი ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენიდან ბუნებრივი აირის მისაღებად ტექნიკურად ჯერჯერობით მზად არ არის. **"თურქეთის მონაკვეთზე ჯერ არ აშენებულა საკომპრესო სადგური. მისი მშენებლობის დასრულებას, სულ მცირე, ერთი წელი მაინც დასჭირდება. ვიმედოვნებთ, რომ თურქეთის კვოტა ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის განაწილდება, შემდეგ პერიოდში კი გაზმოპოვება ისედაც უნდა გაიზარდოს,"** - დასძინა მინისტრმა.

ამჟამად საქართველოს მოხმარება წელიწადში 1,8 მილიარდი კუბური მეტრია, თუმცა, როგორც ენერგეტიკის სამინისტროში ვარაუდობენ, ძალიან მალე ეს მაჩვენებელი 2 მილიარდამდე გაიზრდება.

ენერგეტიკის მინისტრის შეფასებით, 2007 წელი ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით გარდამტეხია. **"თუ ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენი წარმატებით ამუშავდება, ეს არა მარტო საქართველოს, არამედ ევროპის უსაფრთხოების საკითხს გადაწყვეტს,"** - აღნიშნა გილაურმა.

გარდა ამისა, ქართულ-აზერბაიჯანულ სამთავრობათშორისო კომისიის სხდომაზე იგეგმება საქართველოს მიერ 1990-იან წლების ბოლოს აზერბაიჯანის მიმართ დაგროვილი, ელექტროენერგიის დავალიანების რესტრუქტურიზაციის საკითხი. ამ დავალიანების გრაფიკით გადახდას საქართველო ორ კვირაში დაასრულებს.

სამთავრობათშორისო შეხვედრების პარალელურად ჩატარდება ბიზნესფორუმი, სადაც ქართველ ბიზნესმენებთან ერთად მონაწილეობას 15 მსხვილი აზერბაიჯანული კომპანია მიიღებს. მათ შორის არიან: "ატაჰოლდინგი", "კასპიან სერვისი", "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი", "აზერიგაზბანკი" "ჰიდრომაშსერვისი" და სხვები.

საქართველოს მხრიდან ბიზნესფორუმის ჩატარებას ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ხოლო აზერბაიჯანული მხრიდან - AZPROMO უზრუნველყოფენ.

ამ ფორუმის ფარგლებში აზერბაიჯანელი ბიზნესმენები ქართულ ღვინოსაც დააგემოვნებენ. ღვინის მწარმოებელი ქართული კომპანიები ბათუმში ამ დღეებში სპეციალური პრეზენტაციის მოწყობასაც გეგმავენ.

# British Petroleum-ი ეკოლოგიურ კატასტროფას გამორიცხავს

*საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაცია Platform-ის შეფასებით, საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დაზიანების გამო ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრება.*

*ასეთი ეჭვი ორგანიზაციას ახლახან ალიასკაზე მომხდარი მოვლენების შემდეგ გაუჩნდა, სადაც ბრიტანული კომპანია British Petroleum-ი იძულებული გახდა, ნავთობის მოპოვება შეეჩერებინა. British Petroleum-ი ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.*



**"ჩვენ საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაცია Platform-ის ბრალდებებს უარვყოფთ და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენზე კოროზიის გაჩენას გამოვრიცხავთ,** - განუცხადეს "24 საათს" British Petroleum-ის წარმომადგენლობაში, - **ამ დროისთვის, არსებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, კოროზიის ნიშნები ან მისი გამომწვევი ფაქტორები არ შეინიშნება. მილსადენი რისკებისგან მაქსიმალურად დაცულია. მიუხედავად ამისა, მისი უსაფრთხოების დაცვის მექანიზმებს მუდმივად ვაუმჯობესებთ."** მით უმეტეს, რომ მათივე განცხადებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ალიასკაზე მდებარე მილსადენების ერთმანეთთან შედარება შეუძლებელია, რადგან ისინი სრულიად განსხვავებული ტიპის მილსადენებია.

კერძოდ, საქმე ის არის, რომ ორგანიზაცია Platform-ის მიერ რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დაზიანების გამო ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრება. აღნიშნული ეჭვი ორგანიზაციას მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ბრიტანული კომპანია British Petroleum-ი იძულებული გახდა, შეეჩერებინა ნავთობის მოპოვება ალიასკას საბადოებზე, რადგან ამ რეგიონში მის მიერ კონტროლირებად მილსადენს სწრაფად განვითარებადი კოროზია გაუჩნდა. Platform-ის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მილსადენის დაზიანებისა და ნავთობის დაღვრის რისკი კავკასიაში კიდევ უფრო დიდია, ვიდრე ალიასკაზე, რადგან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობისასას British Petroleum-მა ეკოლოგიის საკითხებს ნაკლები ყურადღება დაუთმო.

სხვათა შორის, British Petroleum-ი საქართველოს ტერიტორიაზე, კოდიანას მონაკვეთზე "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" მილსადენის დამატებით უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. აღნიშნული მონაკვეთი ბორჯომის ხეობის ტერიტორიასთან ახლოს მდებარეობს და კომპანიას, ამ მონაკვეთზე ნავთობის დაღვრის შემთხვევაში, ბუნების დაბინძურების რისკის გარანტირებული შემცირებისათვის სპეციალური ზომების მიღება აქვს გამიზნული. ეს განსაკუთრებულად სენსიტიური ზონაა. ამ მიზნით, კოდიანას მონაკვეთზე განათავსებენ უსაფრთხოების დაცვის ბაზას, სადაც აშენდება ინფრასტრუქტურა და შეიქმნება სახელმწიფო დაცვის სამსახური, რომელიც მილსადენის უსაფრთხო ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. პროექტის მეორე ნაწილის ფარგლებში, კომპანია მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მოცულობით მიწისქვეშა ნავთობჩამომცველ ავზს დაამონტაჟებს, სადაც ნავთობი, დაღვრის შემთხვევაში, ჩაედინება.

პროექტის მესამე მიმართულება სპეციალური მეორადი შემაკავებელი დამბების მშენებლობა, რომლებიც კოდიანას მონაკვეთში არსებული მდინარეების შენაკადებზე განთავსდება. მათი ძირითადი ფუნქცია, ნავთობის დაღვრის შემთხვევაში, მდინარეების წყლებში ნავთობის შერევის თავიდან აცილება იქნება. უსაფრთხოების ბაზის მშენებლობაზე - 4 მილიონი დოლარი, ავზისთვის კი 20 მილიონი დოლარი დაიხარჯება, რაც შეეხება მეორადი შემაკავებელი დამბების მშენებლობის ღირებულებას, ეს ამ ეტაპზე განსაზღვრული არ არის და მათ ფორმასა და დიზაინზეა დამოკიდებული, რომელიც კომპანიას ჯერჯერობით საბოლოოდ განსაზღვრული არ აქვს.

ცნობისათვის, 13 ივლისიდან სრულად ამოქმედებული, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო ნავთობსადენის სისტემის 1076 კმ სიგრძის თურქეთის მონაკვეთი ოთხ საქაჩ სადგურს, ორ გამზომ სადგურს და ჯეიჰანის საზღვაო საექსპორტო ტერმინალს მოიცავს, სადაც ერთი მილიონი ბარელის ტევადობის ნედლი ნავთობის საცავი შვიდი ავზი და ორნახევარი კილომეტრი სიგრძის ნავმისადგომია განთავსებული, რომელიც 300 000 ტონამდე ტვირთამწეობის ორი ტანკერის ერთდროულად ჩატვირთვის საშუალებას იძლევა. ნავთობსადენით აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის გავლით გადაზიდული ნავთობით დატვირთული პირველი ტანკერი თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან 4 ივნისს გავიდა. ნავთობსადენის გამტარუნარიანობა იცვლება, მაგრამ საწყის ეტაპზე ის უკვე შეადგენს დღეში 400 000 ბარელს და ეს მაჩვენებელი 2008 წლისთვის დღეში ერთ მილიონ ბარელამდე გაიზრდება.

*24 საათი*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს ლოტებად დაყოფილი 2 (ორი) ცალი მაღალი განვლადობის მსუბუქი ავტომანქანების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

ლოტი 1 *- 1 ავტომანქანა* :

| | |
|---|---|
| ძარა | ხუთკარიანი; |
| ტევადობა | 5 ადგილი; |
| საწვავის ტიპი | ბენზინი; |
| ძრავის მოცულობა | არანაკლებ 2,5 ლ; |
| სიმძლავრე | არანაკლებ 150 ც/ძ; |
| სრული ელექტროპაკეტი (ბორტკოპიუტერი); | |
| პასიური და აქტიური უსაფრთხოების სისტემები; | |
| კონდიციონერი კლიმატკონტროლით; | |
| გატაცების წინააღმდეგ სისტემა | |
| გარანტია | არანაკლებ 1 წლისა ან 30 000 კმ გარბენა |

ლოტი 2 *- 1 ავტომანქანა* :

| | |
|---|---|
| ძარის ტიპი | უნივერსალი , ხუთკარიანი |
| ტევადობა | არანაკლებ 7 ადგილისა; |
| კლირენსი | არანაკლებ 220 მმ |
| ძრავის მოცულობა | არანაკლებ 2800 სმ3 ; |
| სიმძლავრე | არანაკლებ 80 ც/ძ; |
| კვების სისტემა | კარბურატორი; |
| საწვავი | ენზინი; |
| სიჩქარის გადაცემათა კოლოფი | ექანიკური; |
| ტრანსმისია | კანა წამყვანი ჩასართავი წინა ხიდით |
| სამუხრუჭე სისტემის ABS | BS |
| გარანტია | რანაკლებ 1 წლისა ან 20 000 კმ გარბენა |

2. მოწოდების პირობა: თბილისი ადგილზე (მაღაზიის თარო) , საქონელი უნდა იყოს განბაჟებული.

3. საქონლის მოწოდების ვადა - 2006 წლის 1 ნოემბრამდე ;

4. მოსაწოდებელი საქონლის შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

5. დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) 2006 წლის 21 აგვისტოს 1200 საათიდან შეეძლებათ 200 ლარის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ცარმოდგენის შემდეგ.

თანხა გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე:

*მიმღების დასახელება:* **სახელმწიფო ხაზინა**
*მიმღები ბანკი:* **საქართველოს ეროვნული ბანკი;**
*ბანკის კოდი:* **220101107**
*საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი*: **302003000**
*გადახდის დანიშნულება:* **სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის**
*სალარე ანგარიშის* **N** **200122900,**
*სავალუტე ანგარიში* **N** **001189362**

მისამართზე:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწ-ყებო დაწესებულება ***საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო, მე-13 სართული, გაგარინის ქ. N 29ა, 0160 თბილისი, საქართველო.***

6. დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა ორივე ლოტზე საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ და/ან ინგლისურ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით ***2006 წლის 13 სექტემბრის დილის 09 საათიდან დღის 18 საათამდე და 14 სექტემბრის დილის 09 საათიდან დღის 1200 საათამდე*** ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ***საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, საერთო განყოფილება, მე-13 სართული, ოთახი N 13, გაგარინის ქ. N29ა, 0160 თბილისი, საქართველო.***

*7.* პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე **2006 წლის 14 სექტემბრის დღის 1200 საათზე**. პრეტენდენტებს უფლება აქვთ დაესწრონ გახსნის პროცედურას.

8. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

8.1 ცნობები:

8.1.1.* იურიდიული პირისათვის:

ა) დოკუმენტურ დადასტურებას, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული რაიმე სასამართლო საქმეებში მის გაკოტრებასთან, რეორგანიზაციასთან ან ლიკვიდაციასთან დაკავშირებით;

ბ) ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

8.1.2.* ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

***ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს***:

9. ხელმოწერილი (იურიდიული და ინდივიდუალური მეწარმისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.

10. სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში - ლარებში.

11. სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

12. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, შალვა მატატაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი +995 32 313034, +995 32 376506, E-mail: shalvamatatashvili@yahoo.com

სატენდერო კომისია

მოკლედ

## მიუნხენის წმ. ვახტანგ გორგასლის სახელობის ქართული მართლმადიდებლური ტაძარი

გერმანიაში ქალაქ მიუნხენში არსებული ქართული მართლმადიდებლური ეკლესია სექტემბრიდან ახალი შენობის დაქირავებას აპირებს. ამის შესახებ გადაწყვეტილება ტაძრის სამრევლოს გაფართოებულ კრებაზე მიიღეს, რომელიც ტაძრის ოფიციალურ ვებგვერდზეა გაცხადებული. აგვისტოს ბოლომდე კი წირვა-ლოცვა კვლავ ეკლესიის ამჟამინდელ შენობაში გაგრძელდება, რომელიც მიუნხენში კაპუცინერშტრასეზე მდებარეობს.

მიუნხენის წმ. ვახტანგ გორგასლის სახელობის ქართული მართლმადიდებელი ეკლესია 2001 წლის 25 მარტს მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და მიუნხენში მცხოვრები ქართველების ძალისხმევით დაარსდა.

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის დადგენილებით საქართველოს საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეპარქია შეიქმნა და მის მმართველად მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია) დაინიშნა.

აღნიშნული ეპარქიის დაქვემდებარებაში გადავიდა მიუნხენის ქართული ეკლესია, ისევე როგორც დასავლეთ ევროპაში არსებული სხვა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები.

ამჟამად მიუნხენის ქართული ეკლესიის წინამძღვარია არქიმანდრიტი ლაზარე (სამადბეგიშვილი). ეკლესიაში ასევე მსახურობს მღვდელი თამაზი (ლომიძე). ღვთისმსახურებები ყოველ შაბათს და კვირას ტარდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ახალი საკათედრო ტაძარი

საქართველოს საპატრიარქო ჟინვალში VI-VII საუკუნეების ნატაძრალის აღდგენას ცდილობს. ნატაძრალი წმ. გიორგის სახელობის ეკლესიიდან შემორჩა, რომელზედაც ამჟამად საბავშვო ბაღის შენობაა განთავსებული.

როგორც საპატრიარქოს წარმომადგენელმა, ეკლესიის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა ნელი ჯიქურმა აღნიშნა, საპატრიარქოს უკვე გადაეცა საბავშვო ბაღის ტერიტორია, სადაც წილკნისა და დუშეთის მთავარეპისკოპოს ზოსიმეს (შიოშვილი) კურთხევით ახალი ტაძრის აგება გადაწყდა.

"ადგილი, სადაც საკათედრო ტაძარი აიგება, წმიდა გიორგის სახელზე იკურთხა. შესაძლოა იგი სამტრაპეზიანი იყოს და წმიდა ნინოს სახელიც დაემატოს", - განაცხადა ნელი ჯიქურმა. მისივე თქმით, საპატრიარქო ყველას მოუწოდებს ტაძრის ასაგებად შემოწირულობა გაიღოს. სპონსორი დღემდე არ გამოჩენილა, თუმცა მოსახლეობისგან უკვე შემოსულია მცირეოდენი თანხა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## უკრაინის საერთაშორისო ფესტივალი

თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის საბალეტო დასი ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით შემოდგომაზე უკრაინაში საგასტროლოდ გაემგზავრება.

როგორც საბალეტო დასის ხელმძღვანელის ნინო ანანიაშვილის თანაშემწემ მარიკა ერისთავმა განაცხადა, დასი უკრაინაში საერთაშორისო საბალეტო ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას, რომელსაც ანანიაშვილის ყოფილი პარტნიორი ვადიმ პისარევი აწყობს.

"უკრაინაში დასი სპექტაკლებს "დონ კიხოტსა" და "ჟიზელს" წარადგენს. ფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები იქნება რამდენიმე ერთაქტიანი სპექტაკლიც", - განაცხადა ერისთავმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## რიგის მეათე საიუბილეო ფორუმი

რიგაში დოკუმენტური ფილმების პროდიუსერების მეათე საიუბილეო ფორუმი გაიმართება, რომელზეც მიწვეულნი არიან ქართველი კინომწარმოებლებიც.

კონფერენციაზე სპეციალური მოხსენებით კინოპროდიუსერი დავით აბდალაძე წარდგება. იგი უდედმამო და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ქართველი ბავშვების შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღებას გეგმავს. ამ თემით ბალტიისპირეთის ქვეყნების კინოპროდიუსერებიც დაინტერესდნენ.

როგორც საქართველოს ეროვნულ კინოცენტრში განაცხადეს, შესაძლებელია უახლოეს მომავალში ქართულ-ლატვიური ფილმების ციკლი შეიქმნას.

რიგის ფორუმი ლატვიის ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით 9-10 სექტემბერს გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

## საერთაშორისო ფესტივალი "ბალტიის ნაპირი"

კალინინგრადის ოლქში მიმდინარე ხელოვნების პირველ საერთაშორისო ფესტივალს "ბალტიის ნაპირი" ფარგლებში მაყურებლებს [illegible] სტატუსით საქართველოს და რუსეთის სახალხო არტისტი თამარ გვერდწითელი წარდგება. გვერდწითელი ერთსაათიან პროგრამაში მაყურებელს წარუდგენს თავის ცნობილ სიმღერებს. [illegible]

ახალი ფესტივალი, ავტორების ჩანაფიქრით, [illegible] "ბალტიის ნაპირი" [illegible]. ფესტივალში მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნების და ადგილობრივი შემსრულებლები, მუსიკალური კოლექტივები და ცეკვის ანსამბლები მიიღებენ.

გვერდწითელის და გაზმანოვის გამოსვლებს ფესტივალის პროგრამაში "ბალტიის ნაპირის რაფსოდია" ეწოდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "მზიას და ზეზვას თავგადასავალი"

პირველი ევროპელების - მზიასა და ზეზვას თავგადასავლის შესახებ რეჟისორი ირაკლი მახარაძე ანიმაციური ფილმის "მზიას და ზეზვას თავგადასავალი" გადაღებას აპირებს.

როგორც საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში განაცხადეს, პროექტი "მზიასა და ზეზვას თავგადასავალი" მონაწილეობს ცენტრის მიერ მხატვრული, სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტის განვითარების ფინანსური მხარდაჭერის [illegible] გამოცხადებულ კონკურსში.

გამარჯვების შემთხვევაში პროექტი უნდა განხორციელდეს 2006 წლის 20 აგვისტომდე.

კონკურსის საერთო ბიუჯეტი 100 ათასი ლარი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## რუსეთის მუზეუმები

რუსეთში ყველა სახელმწიფო მუზეუმის ფონდსაცავების კომპლექსური რევიზია ჩატარდება. ამის შესახებ განკარგულება თავად რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გასცა, რომელმაც მთავრობას აღნიშნულ საკითხზე [illegible] სამთავრობო კომისიის შექმნა დაავალა.

პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, მთავრობის ხელმძღვანელი მიხაილ ფრადკოვი, [illegible]

[illegible] **ჯი-ეიჩ-ენი**

## ჩინური პოლიტიკა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რადიოს, კინემატოგრაფიისა და ტელევიზიის საქმეთა სახელმწიფო სამმართველო 1 სექტემბრიდან [illegible]

[illegible] **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქართული მართლმადიდებლური ტაძარი

[illegible] **ჯი-ეიჩ-ენი**

## ფოტოგამოფენა ლოს ანჯელესში

ფოტოგამოფენა სახელწოდებით "გვახსოვს" (We Remember), [illegible]

[illegible] **ინტერპრესნიუსი**

# შორეული აფრიკა - ახლო ხედით



პრეზენტაცია აფრიკული მუსიკის თანხლებით.

ნანა ქრელაშვილი

ამბობენ, ადამიანი ხანგრძლივად ორჯერ დუმს, როცა სათქმელი არაფერი აქვს ან პირიქით, სათქმელი ბევრი აქვს, მაგრამ არ იცის საიდან დაიწყოსო. დღეს სწორედ, მეორე მდგომარეობაში აღმოვჩნდი. დრო ცოტა მაქვს, სათქმელი და საამბობი კი ბევრი...

ვიდრე ერთ უჩვეულო პრეზენტაციაზე გიამბობდეთ, ვეცდები მისი ავტორის პორტრეტის რამდენიმე მოკრძალებული შტრიხი მოვხაზო, ამჯერად ფერებისა და ფუნჯის გარეშე. მამუკა ხაზარაძე - ბიზნესმენი, მრავალი წარმატებული კომპანიის მფლობელი და მმართველი, ერთ-ერთი იმათგანია, ვინც საქართველოში უკვე მივიწყებული მეცენატობის ტრადიცია აღადგინა. ის ავტორი და თანაავტორია არაერთი კულტურული ღონისძიებისა, რომელთა შორის მრავალი ფაქტი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენადაც კი იქცა. ძნელია მისი პორტრეტის რაიმე კონკრეტულ ჩარჩოში მოქცევა. ბიზნესმენის მთავარი ხიბლი ალბათ მისი საქმიანობისადმი არა პრაგმატული, არამედ შემოქმედებითი მიდგომაა. საზოგადოების მისდამი კეთილგანწყობის გასაღები კი უბრალოება, სისადავე და გულუხვობაა, რომელსაც ის ზუსტად იყენებს საჭირო დროსა და ადგილას. მარჯანიშვილის ქუჩაზე, ისტორიულ შენობაში, თიბისი ბანკის სათაო ოფისი დაარსების დღიდანვე კულტურული ცხოვრების ოაზისად იქცა. აქ ხშირად იმართება გამოფენები, პრეზენტაციები, ყოველწლიური ლიტერატურული ფესტივალი... მაგრამ დღევანდელ საღამოს მაინც უჩვეულობის ელფერი დაკრავს. საღამოს ავტორიც, მასპინძელიც თავად მამუკა ხაზარაძე გახლავთ. დღეს იქ ვიხილეთ შორეული აფრიკა ახლო ხედით და მოყვარული ფოტოგრაფის მამუკა ხაზარაძის თვალით...

აფრიკული სამყარო, აფრიკული მუსიკა, აფრიკული კადრები, ალა-ფურშეტი, საინტერესო ადამიანების მთელი გალერეა, კამერები, ჟურნალისტები ექსპრომტად გათამაშებულ სპექტაკლს მოგაგონებდათ. ნანახი და განცდილი საოცარი სიფაქიზით, სიზუსტით, აღფრთოვანებით, ზოგჯერ ტკივილითაც კი მოდის მნახველთან და გარდა ამ შორეული ქვეყნის ეგზოტიკით განცდილი სიამოვნებისა, ახალ ფერებს მატებს ფოტოების ავტორს - მამუკა ხაზარაძეს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ის არაპროფესიონალი ფოტოგრაფია. გამოფენაზე ზუსტად არის აწყობილი აფრიკული ბუნება, ყოფა, ადამიანები, ცხოველთა სამყარო. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებებს ბადებს აფრიკელი ბავშვების პორტრეტები. თითოეულ ნამუშევარს უცნაური მიზიდულობის ძალა გააჩნია, მის აურაში გხვევს, გაფიქრებს და თავს გამახსოვრებს - შავკანიანი ბავშვების სევდა, თავისუფლება, გაოცება და გაკვირვება, ქალების ბედი და საოცარი თანაზიარობა ბუნებასთან...

ბატონი მამუკა ამ ჰობის დიდი ხნით დაატარებდა. მის პირადი არქივი ალბათ ბევრ საინტერესო კადრს ინახავს, ბუნებით მოკრძალებულ ადამიანებს ხომ არ უყვართ ზედმეტი ხმაური თავიანთი გატაცებების შესახებ, მაგრამ აფრიკული შთაბეჭდილებები მისი ცხოვრების იმ ნაწილად იქცა, რომლის სკივრში გადანახვა ვერ შეძლო. ეს არ არის მხოლოდ ფოტოობიექტივის წინ შეჩერებული წამები, აქ იგრძნობა მამუკა ხაზარაძის ადამიანური დამოკიდებულება ცივილიზაციას მოწყვეტილი ადამიანების მიმართ. ავტორმა - გავთამამდიო და ყველას გვთხოვა კრიტიკულები ნუ ვიქნებოდით მის მიმართ. აფრიკული ეგზოტიკისადმი აღფრთოვანების გარდა ფოტოებში უცნაური სევდაც იგრძნობა იმ ადამიანების მიმართ, რომელთა სამყაროც ჩვენამდე მოიტანა და ახლო ხედით დაგვანახა. ბატონმა პაატა ბურჭულაძემ ბრძანა ნიჭიერი კაცი ყველგან ნიჭიერიო და ამ ფრაზას პრეზენტაციაზე ხშირად გაიგონებდით.

ბიზნესმენმა აფრიკაში ორი კვირა დაჰყო და ეს ვიზიტიც ერთ საინტერესო ამბავს უკავშირდება. ის ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. მას და მის იქაურ მეგობრებსა და კოლეგებს ტრადიცია ჰქონიათ - ყოველ წელს ორი კვირით ერთმანეთს სტუმრობენ. ამჯერად მათ აფრიკელმა მეგობარმა უმასპინძლა. დაზუსტებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ამ ტრადიციის ქართველური ბუნება მაფიქრებინებს, რომ ავტორი ბატონი მამუკა ხაზარაძე უნდა გახლდეთ.

"სუბიექტივიზმი ფოტოგრაფიაში ყოველთვის იგებს და სწორედ ეს ჩანს მამუკას შემოქმედებაში" - ასე შეაფასა ფოტოგრაფმა გურამ წიბახაშვილმა მოყვარული ფოტოგრაფის დებიუტი. ნანახით აღფრთოვანებას ვერ მალავდა მხატვარი გია ბუღაძეც, თუმცა არ უკვირდა: "ბატონი მამუკა მხატვრობასთან და სახვითობასთან ძალიან ახლოსაა. თვალით აზროვნებს. მას შეუძლია სერიოზული კომპოზიციური აზროვნება. ჟირაფების ციკლი კი მართლაც ხელოვნების ტალანტია და მან შეძლო მინიმალური საშუალებებით გამოეხატა გამოსახულების ეფექტი".

გარდა ფოტოებისა, დოკუმენტური ფილმის ნახვის საშუალებაც გვქონდა, სადაც დებიუტანტის კიდევ ერთი გატაცება გამოიკვეთა. მან პროფესიონალებისათვის დამახასიათებელი ჟინით კადრზე აღბეჭდა, თუ როგორ გადაურჩა გიურზას. დღეს ამის შესახებ იუმორით საუბრობს, თუმცა შეიძლებოდა ამ ამბავს არასასურველი შედეგი მოეტანა.

პრეზენტაციას გამორჩეული ხიბლი შესძინა აფრიკულ ინსტრუმენტებზე შესრულებულმა მუსიკამ, რომელსაც მსახიობები მალხაზ აბულაძე და გიორგი ყიფშიძე ასრულებდნენ.

პრეზენტაცია დასრულდა, ფოტოგრაფი გურამ წიბახაშვილი მამუკა ხაზარაძისგან საჩუქარს ელოდა - ფოტოს, სადაც ზანგი ბავშვი სათამაშოებს ყიდის... საზოგადოება კი ახალ ნამუშევრებს...

# მირი ბოადანა

პოპულარული ებრაელი მანეკენი მირი ბოადანა, საიუველირო კომპანიის "როიალტის" ახალი კატალოგისთვის გადაიღეს. ისრაელის ყველაზე სექსუალური მოდელი ცნობილი ფირმის მომავალი წლის სახე გახდება. დასვენების დღეებში იგი უკვე გადაიღეს ბრილიანტების ახალი კოლექციის რეკლამაში. ხოლო ზამთრის კატალოგისთვის მირი გადაღებულია 50 ახალ აქსესუარში და სპეციალურად მისთვის შექმნილ ყვითელი ოქროს, ბრილიანტების და მარგალიტების ძვირფასეულობაში. თავისი სამუშაოსთვის მანეკენი მიიღებს 100 ათას დოლარს. ამ კვირაში მირის აგრეთვე გადაიღებენ სამოდელო სახლის "გოლბარის" ზამთრის ახალი კოლექციისთვის.



მირი ბოადანმა თავისი კარიერა 15 წლის ასაკში დაიწყო. იგი იღებდა მონაწილეობას კონკურსში მისს ბიერ-შევა. ორი წლის შემდეგ მან თავისი კარიერა გააგრძელა პოდიუმზე ისრაელის სილამაზის კონკურსზე. რის შემდეგაც გაემგზავრა მის მსოფლიოზე, სადაც მესამე ადგილი დაიკავა. ყველაფერ ამის შემდეგ მისი სამოდელო კარიერა წარმატებით განხორციელდა. მას იღებენ წამყვანი კომპანიების რეკლამებისთვის, როგორც ისრაელში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მუშაობდა პიერ კარდენთან, ფერერო როშესთან, კომპანია "როიალტისთან" და მსოფლიოს სხვა მსხვილ ფირმებთან.

კინოში იგი პირველად გადაიღეს ფილმ "ესკიმო ლიმონში", რის შემდეგაც გახდა პოპულარული და ისრაელის მრავალ ფილმში მიიღო მონაწილეობა. ამავე დროს მიყავდა სატელევიზიო პროგრამები. ამჟამად ისრაელის ტელევიზიის მეათე არხზე მიმდინარეობს კომიკური სერიალის ჩვენება "ახლოს სიმართლესთან". ახალ ტელენოველაში მირი მთავარ როლს ასრულებს. სერიალის სიუჟეტი ასახავს რეალური გმირის - მეირა სვისას რეალურ ცხოვრებას.

მოკლედ

## თბილისის საოპერო დასი

თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის საოპერო დასის გასტროლი შვედეთში, დალჰალას საერთაშორისო ფესტივალზე დიდი წარმატებით დასრულდა.

როგორც თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა ზურაბ ოიკაშვილმა განაცხადა, ქართული დასის გამოსვლა ფესტივალზე საუკეთესო შეფასებებით აღინიშნა და დასმა ორგანიზატორებისგან მომავალ ფესტივალზე მიწვევის წინადადებაც მიიღო.

ქართულმა კოლექტივმა ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირიჟორის ზაზა აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით ფესტივალზე 2 ნაწარმოები - კამილ სენ-სანსის ოპერა "სამსონი და დალილა" და ჯუზეპე ვერდის "ტრუბადური" წარადგინა. ეს უკანასკნელი შვედური მხარის დაკვეთით ქართულ საოპერო სცენაზე სწორედ დალჰალას ფესტივალზე წარსადგენად დაიდგა. 2003 წლის შემდეგ დასისთვის ეს პირველი ევროპული გასტროლი იყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ედინბურგის ფესტივალი

სტარტი აიღო ედინბურგის ხელოვნების მე-60 ფესტივალმა. ფესტივალის ფარგლებში მაყურებლები და კრიტიკოსები ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის - მუსიკა, ცეკვა, ბალეტი, ოპერა, თეატრი და ა.შ. რამოდენიმე ათეულ ღონისძიებას ნახავენ.

"მსოფლიოსა და ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ღონისძიებაში, რომელიც ყოველწლიურად იმართება, ქართული კოლექტივები მონაწილეობას ძირითადად უსახსრობის გამო ვერ იღებენ" ახლო წარსულში ედინბურგის ფესტივალზე მაყურებელმა ქართველების შესრულებით იხილა "ანტიგონე", "გახლეჩილი სამყარო", გოგი ალექსიძის საბალეტო მინიატურები, რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრის ცნობილი სპექტაკლები და ა.შ.", - განაცხადა ქეთი დოლიძემ. მისივე თქმით, ედინბურგის ფესტივალზე ქართული შემოქმედებითი კოლექტივები მუდმივად ყურადღების ცენტრში იყვნენ.

"ასე იყო 1988 წელს, როდესაც მაყურებელმა მიხეილ თუმანიშვილის "დონ ჟუანი" და 1993 წელს "ზაფხულის ღამის სიზმრები" იხილა. ორივე სპექტაკლს კინომსახიობთა თეატრის დასი თამაშობდა. 1994 წელს კი ქართული თეატრი ფესტივალზე დათო დოიაშვილის "მეფე ლირით" იყო წარმოდგენილი.", - იხსენებს დოლიძე და სინანულს გამოთქვამს, რომ წლევანდელ საიუბილეო ფესტივალში ქართველი ხელოვანები არ მონაწილეობენ.

როგორც დოლიძემ აღნიშნა, ჯერ კიდევ 70-იან წლების ბოლოს, ედინბურგის ფესტივალში მონაწილეობა მიიღო რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა და რობერტ სტურუას დადგმით ბერტოლდ ბრეხტის "კავკასიური ცარცის წრე" წარადგინა.

ფესტივალმა სტარტი 13 აგვისტოს აიღო და 3 სექტემბერს დასრულდება. მაყურებლები განსაკუთრებით ბალანჩინის ბალეტის "დონ კიხოტის" ბრიტანულ პრემიერას ელოდება, რომელსაც ვაშინგტონის კენედი-ცენტრის საბალეტო დასი სიუზენ ფარელის ხელმძღვანელობით წარმოადგენს.

კრიტიკოსები ფესტივალის მარგალიტს უწოდებენ შექსპირის ისტორიული დრამას, რომელიც სპეციალურად ფესტივალისთვის გერმანელმა რეჟისორმა პიტერ შტაინმა შექსპირის სამეფო კომპანიასთან თანამშრომლობით განახორციელა. ფესტივალის ორგანიზატორია ედინბურგის საქალაქო და შოტლანდიის ხელოვნების საბჭო. მისი საერთო ბიუჯეტი 8 მილიონი ფუნტი სტერლინგია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## პლატონის შრომები

სომხეთში პირველად სომხურ ენაზე ძველი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის შრომები გამოიცემა. ახალი გამოცემა 4-ტომეული იქნება, რომლის პირველი ტომი სახელმწიფო დაკვეთით, გამომცემლობა "სარგის ხაჩენცმა" და "პრინტინფომ" მოამზადა. პლატონის შრომების სომხური თარგმანი, წინასიტყვაობა და კომენტარები სერგეი სტეპანიანს ეკუთვნის. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მეგობრობის ორდენები

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა, ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრის დასის რამდენიმე წევრი მეგობრობის ორდენით დააჯილდოვა.

ჯილდოს გაცემის შესახებ სპეციალური განკარგულება პრეზიდენტმა პუტინმა 12 აგვისტოს გამოსცა. განკარგულების თანახმად, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ავთანდილ ვარსიმაშვილი, გენერალური დირექტორი ნიკოლოზ სვენტიცკი, მსახიობები - ირინა მეღვინეთუხუცესი და ვალერი ხარუტჩენკო რუსულ-ქართული კულტურული კავშირების განვითარებასა და გამყარებაში შეტანილი წვლილისთვის, რუსეთის მეგობრობის ორდენით დაჯილდოვდნენ. **ინტერპრესნიუსი**

## "სევდის საგზალი" ბათუმში

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, 22 აგვისტოს ქუთაისის ახალგაზრდული თეატრის შოუ-სპექტაკლის "სევდის საგზალის" პრემიერა გაიმართება.

სპექტაკლი თეატრის ხელმძღვანელმა და რეჟისორმა ზურაბ ჩხაიძემ ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებების მიხედვით დადგა. სპექტაკლში გამოყენებულია ფოლკლორის ელემენტები, ასევე ქართული ორთაბრძოლების ილეთები.

სექტემბერში დაგეგმილია თეატრის გასტროლები თბილისში, ბაქოსა და ერევანში. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბათუმის თეატრი თბილისში

30 აგვისტოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი ეწვევა. წარმოდგენილი იქნება ირაკლი სამსონაძის პიესა "საღამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში". პიესა დრამატურგმა ბათუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის გიორგი თავაძის შეკვეთით დაწერა. სპექტაკლში ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის, როგორც ძველი, ისე ახალი თაობის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

შეგახსენებთ, რომ რეჟისორი გიორგი თავაძე რამდენიმე თვეა ბათუმში ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობს. თეატრალურ წრეებში მას მრავალი სპექტაკლით იცნობენ. რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში დადგმული აქვს "ნახვის დღე", "აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე", "იქ, სადაც ღვარად მიედინება" და სხვა. რუსთავის თეატრში კი მუშაობდა ლაშა ბუღაძის პიესის მიხედვით სპექტაკლზე "თეატრი", სამეფო უბნის თეატრში - "ნუგზარი და მეფისტოფელი", რომელმაც სანდრო ახმეტელის პრემია დაიმსახურა. ბათუმის თეატრში ირაკლი სამსონაძის პიესა "საღამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში" გიორგი თავაძის პირველი სპექტაკლია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმი

კასპის რაიონში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმის კაპიტალური რემონტი მიმდინარეობს.

როგორც შიდა ქართლის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, აღნიშნულ სამუშაოებზე შიდა ქართლის ხელისუფლებამ 40 ათასი ლარი გამოყო.

გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმის დაარსებას საფუძველი 1989 წელს ჩაეყარა, შეისყიდეს მაზნიაშვილის შენობა, რემონტიც დაიწყეს, მაგრამ იმ დროს მიმდინარე მოვლენებმა სარეაბილიტაციო პროცესი შეაჩერა. ამჟამად მიმდინარეობს მთლიანად შენობის კაპიტალური რემონტი, რომელიც პროექტის გათვალისწინებით სექტემბრის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი

აგვისტოს ბოლოს ცნობილი გახდება ის ქართული პროექტები, რომლებსაც აშშ-ს ელჩების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი (AFCP) დააფინანსებს.

როგორც აშშ-ს საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა წარმომადგენელმა მაგდა მაღრაძემ განაცხადა, "გრანტის გამოყოფაზე საბოლოო გადაწყვეტილებას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი იღებს. ჩვენ შემოსული განცხადებებიდან 3 პროექტი გავგზავნეთ. პასუხს დეპარტამენტიდან აგვისტოს ბოლოსთვის ველოდებით".

მისივე თქმით, აშშ-ის ელჩების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდში საქართველოსთვის რაიმე განსაზღვრული კვოტა არ არსებობს, რის გამოც ქართული პროექტების დაფინანსება მხოლოდ დეპარტამენტის არჩევანზეა დამოკიდებული.

აშშ-დან საბოლოო პასუხის მიღებამდე საელჩო წარდგენილი პროექტების შინაარსისა და თემატიკის შესახებ ინფორმაციას არ ავრცელებს.

მაღრაძის თქმით, ბოლო სამი წელია აშშ-ის ელჩების ფონდი წარდგენილებიდან ერთ-ერთი ქართულ პროექტის დასაფინანსებლად გრანტს ყოფს.

AFCP საშუალებას აძლევს ელჩებს განვითარებად ქვეყნებში ადგილობრივი კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და დახმარებისათვის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში პროექტები წარმოადგინონ. გრანტების მოცულობა 15-30 ათასი აშშ დოლარია. პროექტის ხანგრძლივობაა 12 - 18 თვე.

საკონკონკურსო კომისიამ ჯერ კიდევ გაზაფხულზე შეარჩია შესაფერისი პროექტები, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გაიგზავნა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საერთაშორისო კინოფესტივალი "მერიდიანი"

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნების მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალი "მერიდიანი" ვლადოვოსტოკში 25-დან 31 აგვისტოს ჩათვლით გაიმართება. ფესტივალში მონაწილეობას 20 ქვეყნის 125 ფილმი მიიღებს, საპრიზო ფონდი კი 105 ათასი დოლარით განისაზღვრა. "მერიდიანი" გაიხსნება სამხრეთკორეული ბლოკბასტერით "ტაიფუნი". როგორც კინოფესტივალის დირექტორმა ალექსანდრე დოლუდამ განაცხადა, "ტაიფუნი" ყველაზე მაღალანაზღაურებადი კინოპროექტია სამხრეთკორეული კინოს ისტორიაში. ფილმ "ტაიფუნს" ზღვისპირეთში ჩამოიტანს სურათის რეჟისორი კიანგ ტაეკ კვაკი. როგორც პროგრამის ორგანიზატორები აცხადებენ, კინოფორუმში წარმოდგენილი იქნება ოთხი ახალი ფილმი - რუსი რეჟისორის სერგეი პოტაპოვის "ისუნთქე", კანადელი რეჟისორის ინგრიდ ვენინგერის "დედა", რუსი და უცხოელი რეჟისორების ერთობლივი კინოფილმი "სასტუმრო ვლადივოსტოკი". ფესტივალზე ნაჩვენები იქნება, ასევე, ჩარლი ჩაპლინის სამი აღდგენილი ფილმი. **ჯი-ეიჩ-ენი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს თბილისი-მარნეული-გუგუთის საავტომობილო კმ.32-კმ.38(0.6) პკ.45+00-დან-პკ.66+00-მდე მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

**შენიშვნა:**

**აღნიშნული მონაკვეთი შედიოდა თბილისი-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის კმ.32-კმ.38 მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტში, რომელზედაც 2006 წლის 15 მაისს ტენდერის მეშვეობით გამოვლენილი იქნა გამარჯვებული კომპანია და სამუშაოების შესრულებაზე გაფორმებული იქნა შესაბამისი ხელშეკრულება.**

**იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებულ გზაზე, ბოლო პერიოდში მკვეთრად გაიზარდა მძიმეწონიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა, გაიზარდა სატვირთო მანქანების მოძრაობის ინტენსიობა და დატვირთვები, მაღალი ატმოსფერული ტემპერატურის გავლენით თბილისი-მარნეული-გუგუთის საავტომობილო კმ.32-კმ.38(0.6) პკ.45+00-დან-პკ.66+00-მდე მონაკვეთზე მკვეთრად შეიცვალა ვითარება და საჭირო გახდა საგზაო სამოსის გაძლიერება, რისთვისაც ხელშეკრულებით განსაზღვრული დანახარჯების გაზრდა მოქმედი კანონმდებლობით არ არის დაშვებული. ამიტომ სათანადო სამუშაოების სრულყოფილად ჩატარების მიზნით აღნიშნული მონაკვეთი კონტრაქტორთან შეთანხმებით ამოღებული იქნა არსებული ხელშეკრულებიდან და ცხადდება ცალკე ტენდერი.**

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000, სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის), 2006 წლის 16 აგვისტოდან მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 5 სექტემბრის 9.00 საათიდან 18.00 საათამდე და 2006 წლის 6 სექტემბრის 9.00 საათიდან 12.00 საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული და ფიზიკური სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1** ცნობები:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**გ)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაშია მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| № | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| და ა.შ. | | | | | |

**ბ.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარი აყავს იჯარით, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარის შეძენა ხდება ქვეყნის გარედან, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი(ები) და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მანქანა-მექანიზმი და დანადგარი საქართველოში, და ა. შ.). ასევე აუცილებლად მითითებული უნდა იქნას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების და დანადგარების ადგილმდებარეობა, და იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგელზე მობილიზაციისათვის.

**--** ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

**გ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

**დ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

**ე.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

**--** ცნობას, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები)

ტენდერში მონაწილე იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, ერთ-ერთ წელს მაინც, შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათისა და შინაარსის სამუშაოები საერთო ღირებულებით ორი მლნ. ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**--** ცნობას ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეთ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

**გ.** ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით დეტალურად.

**--** ცნობას 2006 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**5.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

**--** ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება). მიუთითეთ საკონტაქტო ტელეფონები.

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**7.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**8.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**9.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**10.** დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

**11.** სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

12. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

**13.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ხელახალი ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ხელახალ ტენდერს ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ხიზანიშვილის ქუჩაზე (აფხაზეთში დაღუპულთა მემორიალის მიმდებარე გამყოფი ზოლის ტერიტორიაზე) ბავშვთა გასართობი პარკის ტერიტორიის ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: 1. ძალოვანი ქსელის მოწყობა; 2. ტერიტორიის გარე განათების მოწყობა.

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ორი თვე.

**3**.განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 7 სექტემბრის 12 საათიდან 2006 წლის 7 სექტემბრის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 16 აგვისტოს 12 საათიდან 2006 წლის 6 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი მეტრეველი საკონტაქტო ტელეფონი 92-07-86, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სასამართლო დარბაზებისათვის საჭირო ავეჯის (სავარძლების) შესყიდვაზე.**

*ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.*

შესყიდვის ობიექტი:

**1. ოზურგეთი - 20 ხის ფაქტურის სამადგილიანი სავარძელი, ადგილზე ჩატანით;**

**2. თელავი - 12 ხის ფაქტურის სამადგილიანი სავარძელი, ადგილზე ჩატანით;**

**3. ფოთი - 16 ხის ფაქტურის სამადგილიანი სავარძელი, ადგილზე ჩატანით;**

**4. სიღნაღი - 16 ხის ფაქტურის სამადგილიანი სავარძელი, ადგილზე ჩატანით;**

**5. ზესტაფონი - 36 ხის ფაქტურის სამადგილიანი სავარძელი, ადგილზე ჩატანით;**

**6. გორი - 42 ხის ფაქტურის სამადგილიანი სავარძელი, ადგილზე ჩატანით;**

**7. რუსთავი - 60 ხის ფაქტურის სამადგილიანი სავარძელი, ადგილზე ჩატანით;**

**8. ახალქალაქი - 15 ხის ფაქტურის სამადგილიანი სავარძელი, ადგილზე ჩატანით;**

**9. სამტრედია - 12 ხის ფაქტურის სამადგილიანი სავარძელი, ადგილზე ჩატანით;**

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ მდგომარეობაში უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 5 სექტემბრიდან 6 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

*ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად.*

2.2 ფიზიკური პირისათვის:

*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

*ცნონა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად;*

3. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთმოყვანილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 4 სექტემბრის ჩათვლით;

5. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ერთიანი ანგარიში N200122900, N300033133

6. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საქართველოს უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ტატა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი). ტ. 92 11 89;

**სატენდერო კომისია**

# "ხუთჯვაროსნები" "ვიკინგების" წინააღმდეგ

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთის ქართველ ქომაგთა მოლოდინი დასრულდა: დღეს, 16 აგვისტოს, საქართველოს ეროვნული ნაკრები ფარერის კუნძულებზე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის სასტარტო შეხვედრას გამართავს. მისი მეტოქე იქნება ამ კუნძულოვანი მინისახელმწიფოს ეროვნული ნაკრები. მატჩი თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება და ტელეკომპანია "რუსთავი 2" მის პირდაპირ ტრანსლიაციას განახორციელებს.

"ხუთჯვაროსნები" ვიკინგების კუნძულს სამი დღის წინ, 13 აგვისტოს ეწვივნენ. ქვეყინის დედაქალაქი ქართულ საფეხბურთო დელეგაციას მოქუფრული დაუხვდა. ჰაერის ტემპერატურა დღის განმავლობაში ცელსიუსის შკალით 8-10 გრადუსს აღწევს. პრინციპში, ასეთი ჰავა თამაშისთვის მისწრებაა, რომ არა სიცივეს თანმხლები საკმაოდ ძლიერი ქარი.

ჯერ დანაკლისზე მოგახსენებთ. წინასწარ ცნობილი იყო, რომ რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმის გამო ვერ შეძლებდა ამ მატჩში მონაწილეობას. მილანელი კახა კალაძე რეაბილიტაციის კურსს გადის, კიევის "დინამოს" თავდამსხმელი ოთარ მარცვალაძეც ტრავმირებულია. ფარერებზე ჩავიდა, მაგრამ, როგორც ადგილზე გაირკვა, მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს კიდევ ერთი ცენტრალური მცველი, ინგლისის "ბლექბერნის" ქართველი ლეგიონერი ზურა ხიზანიშვილი. მას საზარდულის პრობლემა აქვს. ნაკრების ექიმთა შტაბმა ზურას გასინჯვის შემდეგ გადაწყვიტა, რომ რისკი უაზრო იქნებოდა, რადგან, ტრავმის გამიზეზების შემთხვევაში, ხიზანიშვილს სექტემბრის დასაწყისში ორი უმნიშვნელოვანესი თამაშის გამოტოვება მოუწევდა - საფრანგეთთან 2 სექტემბერს და უკრაინასთან - 6 სექტემბერს. იგი უკვე დაბრუნდა საკუთარ კლუბში და ინგლისში გააგრძელებს მკურნალობას. დაცვის ცენტრში შექმნილი ასეთი სერიოზული პრობლემების გამო ნაკრების გერმანელი მთავარი მწვრთნელი, კლაუს ტოპმიოლერი იძულებული გახდა კიდევ ერთი ფეხბურთელი მიეწვია - ოდესის "ჩერნომორეცის" უკანახაზელი, თბილისის "დინამოს" ექსკაპიტანი გიორგი შაშიაშვილი გუნდთან ერთადაა და დღევანდელი მატჩისთვის ემზადება. არ არის გამორიცხული, მოსკოვის "ლოკომოტივის" და გასული სეზონის რუსეთის საუკეთესო მცველი, მალხაზ ასათიანი, რომელსაც საქართველოს ნაკრებში პლეიმეიკერის ფუნქცია აქვს, დაცვის ცენტრში ვიხილოთ, რაზეც მინიშნება კლაუს ტოპმიოლერმაც გააკეთა.

"ხუთჯვაროსნებს" არა მხოლოდ მოძალებული ტრავმების, არამედ, სხვა სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებითაც აერიათ მომზადების გეგმები. კერძოდ, ეროვნული ნაკრების სპორტულმა ამუნიციამ დაიგვიანა და 14 აგვისტოს, დაგეგმილი ორჯერადი ვარჯიშის ნაცვლად ტოპმიოლერმა მხოლოდ ერთი, საღამოს ვარჯიში ჩაატარა, ისიც საკმაოდ მსუბუქი. გუშინ ქართველმა ფეხბურთელებმა უკვე მატჩისწინა ვარჯიში ჩაატარეს იმ არენაზე, რომელზეც დღეს თამაში მოუწევთ. ტორსჰავენის სტადიონი ქართული საზომებითაც კი ვერაფრით გამოირჩევა და მხოლოდ 5 ათასამდე ქომაგს იტევს. შესაბამისად, ტრიბუნების მხრიდან რაიმე ზეწოლაზე და მეთორმეტე ფეხბურთელობაზე საუბარი გადაჭარბებული იქნება.

"24 საათთან" სატელეფონო საუბარში ნაკრების პრესატაშემ, სანდრო ცნობილაძემ აღნიშნა, რომ ეროვნული გუნდის ფეხბურთელებში სრული საბრძოლო მზადყოფნა და განწყობაა. თამაშის წინა დღეს ფეხბურთელებმა მწვრთნელებთან ერთად იხილეს სერტგი გვარჯალაძის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმი "ჩვენ ერთი გუნდი ვართ", რომლის საპრემიერო ჩვენებაც რამდენიმე დღის წინ კინოთეატრ "ამირანში" გაიმართა. ცნობილაძის თქმით, ამ ფილმმა დადებითი ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა მოთამაშეებზე და კიდევ უფრო გაზარდა საბრძოლო სულისკვეთება. ვნახოთ, მატჩი დღეს გაიმართება და მის შედეგზე იქნება დამოკიდებული, როგორ ხასიათზე დავუხვდებით მსოფლიო ვიცეჩემპიონებს, რომლებიც 2 სექტემბერს გვეწვევიან.

აქვე გამცნობთ, რომ ამ დღეს მეორე შესარჩევ ქვეჯგუფში მხოლოდ ეს ერთი თამაში გაიმართება. თუმცა, ჯგუფის არც სხვა გუნდები არიან გულხელდაკრეფილნი. გამოკვეთილი ლიდერები - იტალია და საფრანგეთი დღესვე ამხანაგურ შეხვედრებს გამართავენ. ორივე გუნდი პოსტიუგოსლავიურ მეტოქეს ხვდება. "სამფეროვნები" ბოსნია-ჰერცეგოვინას დაუპირისპირდება, ხოლო "სკუადრა აძურა" ხორვატიას მოუსინჯავს ძალას.

თბილისის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, დღეს საღამოს 9 საათიდან გადაიკეტება რესპუბლიკის მოედანი და საქართველოს ნაკრების ქომაგებს მატჩის ხილვა გიგანტურ ეკრანზე შეეძლებათ.



## დავით კოვზირიძის სვეტი

### ერთი გუნდი დღეს, ხვალ, ყოველთვის!

დღეს საქართველოს ნაკრები სამშობლოდან ძალიან შორს, ძალიან გრილ ამინდში, არცთუ იდეალურ მოედანზე, არც ისე ადვილად მოსაგებ ფარერელებს ხვდება. ამით იწყება ავსტრია-შვეიცარიისკენ ამავალი მურტალი აღმართი, ევროპის 2008 წლის შესარჩევი ციკლი, რომლის ყველაზე მძიმე ჯგუფშიც ჩვენ მოვხვდით. ჯგუფის სირთულე კენჭისყრისთანავე გამოჩნდა, თუმცა მას შემდეგ, რაც უკრაინელები მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიდნენ, ხოლო ფრანგები და იტალიელები ფინალში შეასკდნენ, უკვე მთელი საფეხბურთო სამყარო აღიარებს - აქ დიდი ამბები დატრიალდება.

სანამ ეს ამბები დატრიალდება, ჩვენ ცხრილს აუცილებლად უნდა მოვექცეთ სათავეში, აუცილებლად უნდა მოვიგოთ კუნძულზე! ამ გამარჯვებას მხოლოდ პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექნება. ჯერ ერთი, ფარერებზე გასვლა პირველი ოფიციალური ეგზამინაციაა კლაუს ტოპმიოლერისა და მისი გერმანული შტაბისთვის. მეორე - ეს სამი ქულა ბიჭებს და გულშემატკივრებს რწმენას შეჰმატებს და უზარმაზარ ფსიქოლოგიურ ტვირთს მოხსნის, რისი შედეგიც იქნება 2 სექტემბერს ლაღი თამაში და ახალ სტადიონზე არნახული ქომაგობა.

კუნძულელები შინ გაცილებით უკეთ თამაშობენ, ვიდრე გასვლაზე და რამდენიმე სახელოვანი გუნდისთვის აქვთ დაწყვეტილი ნერვები. ამას ქართველთა ტრავმებიც ემატება და ორი აზრი არაა, ჩვენ დიდი ომი გველის. მაგრამ მთელი მუღამიც ხომ ასეთ ომებში კაცური ბრძოლა და შინ ამაყად დაბრუნება გახლავთ. სწორედ ასეთ ჯახა-ჯუხებში იწრთობიან მგლები და რადგან ჩვენი საყვარელი გუნდის თილისმა გახდა მგლის ლეკვი, ბიჭებმა უკანმოუხედავად უნდა იბრძოლონ. ახლა ბევრი რამ ტოპმიოლერის ფსიქოლოგიურ ცოდნაზეა დამოკიდებული, მან უნდა დაქოქოს ბიჭები ისე, რომ არც ერთმა ფრეზეც კი არ იფიქროს. მე ვიცნობ ამ კაცს და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება!

შაბათს, 12 აგვისტოს, კლაუს ტოპმიოლერის დაბადების დღეს, კინოთეატრ "ამირანში" საქართველოს ნაკრებზე შექმნილი დოკუმენტური ფილმის პრემიერა შედგა. ფილმს "ერთი გუნდი" ჰქვია და მისი ნახვის საშუალება ტელევიზიით გუშინ საღამოს გქონდათ.

ასეთი ფილმები თითქმის ყოველი მეორე სეზონის წინ იქმნება ყველა თავმოყვარე ნაკრებსა თუ კლუბზე და მათი მიზანი ერთადერთია - ინფორმაციის მიწოდება გულშემატკივრისთვის იმის შესახებ, თუ რა ხდება გუნდს შიგნით, როგორი განწყობაა, ვის როგორი ხასიათი აქვს, ვინ რას ფიქრობს.

მე პატარაობიდანვე მინდოდა მენახა ის, რაზეც მხოლოდ ვარაუდებით ვფიქრობდი და მშვენიერია, რომ ეს ოცნება მე არა, მაგრამ დღევანდელ ბავშვებს აუხდათ. ახლა ისინი უკეთ იცნობენ თავიანთ კერპებს, გაცილებით მეტი იციან ბიჭებზე და მათ ცხოვრებაზე, ვიდრე ჩვენმა თაობამ იცოდა ჯერ თბილისის "დინამოზე" და მერე ახლადშობილ ნაკრებზე.

"ერთი გუნდი" სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ საბოლოოდ დაინგრეს ქომაგსა და ფეხბურთელს შორის არსებული უაზრო, წლების განმავლობაში ურწმუნობით, შეურაცხყოფებით, გინებით, ბოთლებით, სიბნელით აშენებული მახინჯი კედელი; რომ გულშემატკივარს მართლა უყვარდეს ფეხბურთელი და არა იმიტომ, რომ **უნდა** უყვარდეს. ურთიერთობა მაშინაა ლამაზი და პერსპექტიული, როცა მასში ყველაფერი ბუნებრივია, როცა ორივე მხარე - კაცი და ქალი, შვილი და მშობელი, სახელმწიფო და მოქალაქე, მოძღვარი და მრევლი, სპორტსმენი და გულშემატკივარი ერთმანეთის დახმარებაზე, სიამოვნებაზე, კარგზე ზრუნავს და სხვა ყველაფერი გვერდზე აქვთ გადადებული.

კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია - ათიანში გარტყმული ნათქვამია და მთელი საქართველო დღეს იმაზე ოცნებობს, რომ ჩვენი, ამიერიდან უკვე მართლა ერთი გუნდის ურთულესი საქმე კარგად დაიწყოს. მარტო ეროვნულ გუნდს არ ვგულისხმობ ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებსაც. ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება თბილისში, თუ ქართული ფეხბურთის აწმყო და მომავალი შინ ექვსი ქულით დაბრუნდება!

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი ქართული ფეხბურთის ისტორიაში - დღეიდან მსურველებს შეუძლიათ ოფიციალურად გაწევრიანდნენ საქართველოს ნაკრების ფან-კლუბში. ის, რაც მთელ მსოფლიოში ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი რამაა, სამწუხაროდ, აქამდე ჩვენთან არ არსებობდა და საბედნიეროდ, უკვე ამუშავდა. როგორც გავიგე, წინასწარი განაცხადი უკვე ოცი ათასამდე გულშემატკივარს აქვს გაკეთებული, ოცი ათასმა ადამიანმა უკვე მოაწერა ხელი საყვარელ გუნდთან ერთგულების კონტრაქტს და ვიცი, ეს ციფრი მალე საგრძნობლად გაიზრდება.

ამისთვის ყველაფერი მზადაა გარდა იმ გამარჯვებებისა, რომლებსაც საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები აუცილებლად გვაჩუქებენ დღეს, ხვალ, ზეგ, მაზეგ...

*მომავალ შეხვედრამდე*



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონი "კომაროვი" აცხადებს ტენდერს კვების პროდუქტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

2. დაფინანსების წყარო --- სახელმწიფო ბიუჯეტი.

3. შესყიდვის ობიექტი:

| ლოტის № | პროდუქტი | რაოდენობის ერთეული | საერთო რაოდენობა | მოწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| | 1. პური თეთრი | კგ. | 4224 | ვ.ფშაველას №49 |
| ლოტი 1. | 2. პური რუხი | კგ. | 1056 | საჯარო სკოლა-პანსიონი |
| | 3. პური ჭვავის | კგ. | 1056 | „კომაროვი“ |
| | 4. პურის ფქვილი | კგ. | 369 | |
| | 1. მანანის ბურღული | კგ. | 211 | |
| | 2. ბრინჯი | კგ. | 316 | |
| ლოტი 2 | 3. წიწიბურა | კგ. | 211 | |
| | 4. ფეტვი (ფშენო) | კგ. | 100 | |
| | 5. მაკარონი (ვერმიშელი) | კგ. | 338 | |
| | 1. კომბოსტო | კგ. | 475 | |
| | 2. სტაფილო | კგ. | 370 | |
| | 3. ჭარხალი | კგ. | 160 | |
| | 4. ხახვი | კგ. | 1060 | |
| | 5. ნიორი | კგ. | 37 | |
| | 6. მწვანილი | კგ. | 55 | |
| ლოტი 3 | 7. პომიდორი | კგ. | 110 | |
| | 8. ბადრიჯანი | კგ. | 200 | |
| | 9. კიტრი | კგ. | 130 | |
| | 10. მჟავე კიტრი | კგ. | 105 | |
| | 11. კარტოფილი | კგ. | 4220 | |
| | 12. ვაშლი | კგ. | 470 | |
| | 13. ყურძენი | კგ. | 300 | |
| | 1. ხილფაფა | კგ. | 528 | |
| | 2. ნამცხვარი | კგ. | 230 | |
| | 3. კანფეტი | კგ. | 75 | |
| | 4. შაქარი | კგ. | 850 | |
| | 5. კარაქი | კგ. | 530 | |
| | 6. ზეთი | კგ. | 190 | |
| | 7. კვერცხი | ცალი. | 10600 | |
| | 8. რძის ფხვნილი | კგ. | 380 | |
| | 9. არაჟანი | კგ. | 300 | |
| ლოტი 4 | 10. ყველი | კგ. | 230 | |
| | 11. ხორცი | კგ. | 1120 | |
| | 12. სოსისი | კგ. | 300 | |
| | 13. თევზი | კგ. | 600 | |
| | 14. ჩაი | კგ. | 20 | |
| | 15. კაკაო | კგ. | 30 | |
| | 16. მარილი | კგ. | 105 | |
| | 17. კარტოფილის ფქვილი | კგ. | 30 | |
| | 18. ძმარი | კგ. | 60 | |
| | 19. სუნელი სხვადასხვა | კგ. | 15 | |
| | 20. დაფქვილი წიწაკა | კგ. | 15 | |
| | 21. ტომატ-პასტა | კგ. | 105 | |

4. საქონლის მიწოდების ვადებია 2006წლის სექტემბრიდან 2006წლის 31 დეკემბრამდე

5. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონი "კომაროვი".

6. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში) ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 7 სექტემბრის 15 საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისის 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონი "კომაროვი", ვ.ფშაველას გამზირი N49.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**7.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდული პირის რეგისტრაციის შესახებ სასამართლოს დადგენილება;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**7.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**7.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

a) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

b) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-7 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის

ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. გადახდა განხორციელდება შემდეგ ანგარიშზე: **საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი N302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900** გადამხდელებმა უნდა მიუთითონ, რომ იხდიან 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონი "კომაროვის" მიერ გამოხადებული ტენდერის სატენდერო მოსაკრებელს. გადახდის შესახებ ქვითარს პრეტენდენტი წარადგენს 2006 წლის 7 სექტემბრის 15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონი "კომაროვი"

10. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონი "კომაროვი", ვ. ფშაველას N49 ტელ: 39-15-62, 39-27-81, 893-455-715.

# შპს „საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს გომი აგარის გადასარბენის კაპ შეკეთების შესასრულებლად

1) შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ტენდერს ერთ ლოტად **კაპიტალური შეკეთების** სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი)

**ლოტი N1 რკინიგზის გომი-აგარის გადასარბენზე 2354 კმ მე-3 პიკეტზე არსებული გადასასვლელის კაპიტალური შეკეთება.**

1) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ (ქვითართან ერთად პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ მოთხოვნის შესახებ მომართვა), რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემა ობიექტის ტექნიკური მასალა განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობის აღწერით, ასევე საბაზისო მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ.

2) სატენდერო წინადადება ქართულ ან რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის **08 სექტემბერს** 9.00 საათიდან 18.00 საათამდე , ორ ეგზემპლარად,(ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირებ-ის მონაცემების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

3) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 იურიდიული პირისათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

3.2. **ფიზიკური პირისათვის**:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას**

3.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის
- რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში

3.4. **არსებული ტექნიკა და კვალიფიკაცია.**

სამუშაოების შესრულებისთვის საჭიროა ტექნიკა და პერსონალის კვალიფიკაცია.

3.5. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ და/ან რუსულ ენაზე .

3.6. სატენდერო წინადადების ღირებულება წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს

ეროვნულ ვალუტაში

**ყველა პრეტენდეტმა უნდა წარმოადგინოს**:

1.ხელმოწერილი (იურდიული პოირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება (ნიმუში დადგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები, საქონლის მიწოდების ვადები.

2.ხელმოწერილი (იურდიული პირებისა და ინდ. მეწარმეებისათვის ასევე ბეჭედით დამოწმებული ) ფასების ცხრილი (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში ) საქონლის მახასიათებლების მითითებით.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56-33-51

**სატენდერო კომისია.**

1. უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

## მოკლედ

### მარტინსი კლუბის ძიებაშია

მილანის "ინტერის" ნიგერიელი თავდამსხმელი ობაფემი მარტინსი ამ სეზონშივე აპირებს კლუბის დატოვებას. მიზეზად კი გუნდში თავდამსხმელების - ერნან კრესპოსა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის მისვლას ასახელებს. "ინტერში" გაჩენილი კონკურენციის გამო მარტინსი გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს, მიუხედავად კლუბის მფლობელის მასიმო მორატის დაჟინებული თხოვნისა. ნიგერილი თავდამსხმელით დაინტერესება უკვე გამოთქვეს ინგლისურმა კლუბებმა - "ნიუკასლ იუნაიტედმა" და "პორტსმუთმა", ასევე ესპანურმა "ვალენსიამ". ამ უკანასკნელმა მილანელებს მარტინისის სანაცვლოდ 8,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი შესთავაზა.

### როსიცკი ნაკრებს ვერ დაეხმარება

ლონდონის "არსენალის" ჩეხი ნახევარმცველი ტომაშ როსიცკი თავისი ქვეყნის პირველ გუნდს სერბებთან ამხანაგურ შეხვედრაში საზარდულის ტრავმის გამო ვერ დაეხმარება. კარელ ბრიუკნერმა როსიცკის შემცვლელად ნაკრებში გერმანული "ჰანოვერის" თავდამსხმელი იერჟი შტაინერი იხმო.

ჩეხეთის ეროვნული ნაკრები სერბეთის გუნდს ხვალ დაუპირისპირდება.

### ირლანდია ექვსი ფეხბურთელის გარეშე დარჩა

ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებთან გასამართი შეხვედრის წინ ირლანდიელებს ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად ექვსი ფეხბურთელი გამოაკლდათ.

მეკარე შეი გივენი და ნახევარმცველი სტივენ აილენდი ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ დაშავდნენ, გასულ უქმეებზე კი ტრავმები რობი კინმა, ტერი დიქსონმა, რიჩარდმა დანმა და ალენ ლიმ მიიღეს.

ირლანდიის ნაკრების თავკაცმა სტივ სტონტონმა გუნდში ორი ახალი ფეხბურთელი - "ბლექბერნის" ნახევარმცველი ჯონათან დუგლასი და "სანდერლენდის" თავდამსხმელი დერილ მერფი გამოიძახა.

### მაკლარენი ბექჰემის თამაშს არ გამორიცხავს

ინგლისის ნაკრების ახალი თავკაცი სტივ მაკლარენი ეროვნულ გუნდში ექს-კაპიტნის დევიდ ბექჰემის გამოძახებას ჯერაც არ გამორიცხავს.

"მთავარ მწვრთნელი ვერ გადაწყვეტს რომელიმე ფეხბურთელის სანაკრებო კარიერის დასრულების ბედს. თუ დევიდი იტყვის, რომ ნაკრებში თამაშის სურვილი კლავს, მის თხოვნას აუცილებლად გავითვალისწინებ", - განაცხადა ინგლისელთა თავკაცმა.

შეგახსენებთ, რომ მაკლარენმა მადრიდის "რეალის" 31 წლის ნახევარმცველი ნაკრებს მიღმა დატოვა.

# გაევროპელებული ბრაზილიელი

მარი ჭავახიშვილი

ემერსონ ფარეირა ტურინის "იუვენტუსიდან" წასული სხვა ფეხბურთელების მსგავსად, იტალიაში მოღალატედ შერაცხეს. თუმცა, მადრიდის "რეალში" გადასული ბრაზილიელი ნახევარმცველი ამ თემაზე საუბარს თავს არიდებს და ამბობს, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" საკუთარი შესაძლებლობებისა და საფეხბურთო სიძლიერის დასამტკიცებლად ჩავიდა.

ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა მადრიდის "რეალის" ოფიციალურ საიტს, რომელსაც შემოკლებით ჩვენი მკითხველიც გაეცნობა:

**- ახალ კლუბთან შეგუება, ალბათ, არ გაგჭირვებიათ. მით უმეტეს, რომ "რეალში" თქვენი რამდენიმე თანამემამულე თამაშობს...**

- ადაპტაციის ეტაპი იოლად გავიარე, ბარაზილიელების გარდა, აქ ხომ კაპელო და კანავარო არიან, რომლის მხარდამხარ "იუვეში" ვთამაშობდი. კიდევ ანტონიო კასანო, რომელთან ერთადაც "რომაში" გამოვდიოდი. ახალ გარემოსთან გაშინაურებაში ბრაზილიელი ფეხბურთელებიც დამეხმარნენ, თუმცა რაული და სალგადო განსაკუთრებით თბილად შემხვდნენ.

**- ერთხელ განაცხადეთ, რომ თქვენ და კაპელო ერთმანეთს უსიტყვოდ, თვალებში ერთი შეხედვით უგებთ...**

- ეს, პირველ რიგში, მისი გულწრფელობის დამსახურებაა. ის ყოველთვის იმას ამბობს, რასაც ფიქრობს. ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ კაპელოს გაგება რთულია, თუმცა მერწმუნეთ, თუ ბოლომდე მიჰყვებით მას, დონ ფაბიოსთან მუშაობა საკმაოდ იოლია და რაც მთავარია, სასიამოვნო.

**- მადრიდში ჩამოსვლის შემდეგ ყველაზე მეტად რამ გაგაოცათ?**

- გულშემატკივრებმა. მათი აჟიტირება მოთამაშეებსაც ედებათ, რომლებიც თავის მხრივ ცდილობენ ქომაგს იმედი არ გაუცრონ. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ის არის, რომ ჩემი კერპის - ზინედინ ზიდანის გვერდით თამაში ველარ მოვასწარი. "იუვენტუსშიც" სწორედ მაშინ მივედი, როცა ზიზუ წავიდა, ახლაც იგივე განმეორდა... თავს იმით ვიმშვიდებ, რომ რონალდოსა და ბევრი ბრწყინვალე ფეხბურთელის თანაგუნდელი ვარ. მინდა მათთან ერთად მოვიგო ტიტულები, რომლებიც სამწუხაროდ, "რეალს" კარგა ხანია აღარ მოუგია.

**- ევროპული გუნდის შესახებ ბრაზილიელისთვის არადამახასიათებლად ლაპარაკობთ...**

- დიდი ხანია, რაც ევროპაში ვთამაშობ. ამბობენ, უფრო ევროპელი ვარ, ვიდრე ბრაზილიელი. 20 წლის ვიყავი, როცა პირველად გადმოვბარგდი ბებერ კონტინენტზე, კონკრეტულად - გერმანიაში. მას შემდეგ 10 წელი გავიდა და ევროპული მენტალიტეტი ჩამომიყალიბდა.

**- საკმაოდ ინტერნაციონალურ გუნდში მოხვდით, ყველაზე მეტად ვინ დაიმსახურა თქვენი პირველი სიმპათია?**

- როგორც უკვე ვთქვით, რაულმა და სალგადომ საკმაოდ თბილად მიმიღეს. ისეთი გარემო შემიქმნეს, თითქოს კარგა ხანია, "სანტიაგო ბერნაბეუზე" ვთამაშობ. ახალ კლუბში პირველი თვეების გატარება ადვილი არასდროს არის, მაგრამ ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ "რეალის" ახალი ისტორია შევქმნათ. ამისთვის კი, პირველ რიგში, ერთსულოვნებაა საჭირო

**- როდის ვნახავთ ემერსონის საუკეთესო თამაშს?**

- გულშემატკივარს ვპირდები, რომ მატჩიდან მატჩამდე მოვუმატებ. ჩემი ერთადერთი მიზანი გამარჯვებაა. დარწმუნებული ვარ, წლეულს პრიმერადივიზიონის ჩემპიონობა ჩვენ დაგვრჩება. თუმცა, არც ჩემპიონთა ლიგის მოგება გვაწყენდა.

## ინფოთეკა

### პუიოლისა და ჩავის გარეშე

ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელები - კარლეს პუიოლი და ჩავი - ისლანდიის ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ.

კატალონიის "ბარსელონას" კაპიტანმა და ნახევარმცველმა უმნიშვნელო ტრავმები მიიღეს ამერიკული ტურნეს დროს. ჩავის ფეხი აწუხებს, პუიოლმა კი ზურგი დაიზიანა.

### ზიზინიო გადადგა

როიტერის ინფორმაციით, ბრაზილიის ჩემპიონისა და ყველაზე მდიდარი კლუბის "კორინთიანსის" მთავარმა მწვრთნელმა ზიზინიომ თანამდებობა დატოვა.ბრაზილიელმა სპეციალისტმა გადაწყვეტილება "ფიგუერენსესთან" საშინაო მარცხის (1:3) შემდეგ მიიღო.

### "სან პაულუს" მეკარე ავტოკასტატროფაში დაიღუპა

ბრაზილიური "სან პაულუს" 19 წლის მეკარე ვევერსონ ერონ მალდონადო საფიოტი ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

გოლკიპერთან ერთად დაიღუპა მისი თანამგზავრი, ფრენბურთელი ნატალია სენა მანფრიმი, რომელიც გასულ წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

მომხდარის გამო "სან პაულუმ" ვარჯიში გადადო. კლუბი ლიბერტადორესის თასის ფინალის საპასუხო მატჩისთვის ემზადება. პირველ შეხვედრაში "სან პაულუ" 0:1 დამარცხდა.


## საღებავების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების ცვლილება

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006წ 11 აგვისტოს გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში საღებავების *შესყიდვის შესახებ* შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

***- ლოტი 1 -ში დაემატოს ტექნიკური აცეტონი, რაოდენობით 150 ლიტრი;***

2. შპს "საქართველოს რკნიგზის" მიერ გამოქვეყნებული *კავშირგაბმულობისათვის საჭირო მასალების შესყიდვის შესახებ* სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

**სატენდერო კომისია**

## ვაკანსია

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს თარჯიმნის დროებითი პოზიციის დასაკავებლად. თარჯიმანი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს დახასიათება:**

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**

თარჯიმნის მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- ზეპირი თარგმნა შეხვედრების, დისკუსიების და სხვა ღონისძიებების დროს;
- წერილების, სტატიების და სხვადასხვა სახის დოკუმენტების თარგმნა;
- ნათარგმნი დოკუმენტების კორექტირება;
- ყოველდღიური კორესპონდენციის თარგმნა დაწესებულ ვადებში;
- თარგმნილი დოკუმენტების აღრიცხვის სისტემის წარმოება და გამოყენება;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- საერთაშორისო კომპანიაში თარჯიმნად მუშაობის მინიმუმ 4 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის დარგში, ენების გაძლიერებული სწავლებით;
- კომპიუტერთან მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები;
- დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;
- მრავალეროვან გარემოში ადაპტაციის უნარი;
- გუნდური მუშაობის გამოცდილება.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **ოთხშაბათი, 2006 წლის 23 აგვისტო.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

BP Georgia

საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

TV5MONDE

## 16 აგვისტო

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 16.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ნარკოტიკები და ადამიანის ტვინი. დოკ. ფილმი. **07.30** ქრონიკები მთიდან. **08.30** ტელედილა. **10.30** მატიანე. ტელესერიალი. **11.05** ჩვენი ბაღი. **12.15** რენე კლერი, მწერალი, ფილმის ავტორი. დოკ.ფილმი. **14.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი .ეპიზოდი 38. **16.25** სერიალი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** "ჩაო ბელა".. სერიალი. **20.30** გადაცემა: ფორტ ბოიარდი. **23.00** ანიბალი. მხ.ფილმი. რეჟისორი პიერ ბუტრონი. 2000. **01.15** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **04.40** ბრუჟი 1434. დოკ.ფილმი.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1. საქართველოს გენერალური პროკურატურა (ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24) აცხადებს ღია ტენდერს სასამართლო-საექსპერტო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, კოდი: 302003000, ანგარიშის N200122900, მიუთითონ საქართველოს გენერალური პროკურატურის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი 2006 წლის 5 სექტემბრამდე, ქ. თბილისი, გორგასლის N24, ოთახი 214, რის შემდგომაც შეუძლიათ გაიტანონ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

**ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.**

**2. შესყიდვის ობიექტია:** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო-საექსპერტო მომსახურება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, კერძოდ:

- **კრიმინალისტიკური ექსპერტიზა(დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზა; ხელნაწერისა და ხელმოწერის ექსპერტიზა; ბალისტიკური ექსპერტიზა; ტრასოლოგიური ექსპერტიზა; ავტოტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზა;**
- **ფინანსური, საინჟინრო და სასაქონლო ექსპერტიზა(ფინანსური და საბუღალტრო ექსპერტიზა; საინჟინრო და სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა; სასაქონლო ექსპერტიზა;**
- **ქიმიური ექსპერტიზა(სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზა; ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა; კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, აგრეთვე ნავთობპროდუქტების ექსპერტიზა; );**
- **სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა (ცოცხალ პირთა ექსპერტიზა, გვამების ექსპერტიზა, ჰისტოლოგიური ექსპერტიზა, ბიოლოგიური ექსპერტიზა, სამედიცინო-ქიმიური ექსპერტიზა, სამედიცინო-კრიმინალისტიკური ექსპერტიზა);**
- **სასამართლო ფსიქიატრიულ-ნარკოლოგიური ექსპერტიზა(სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, სასამართლო ნარკოლოგიური ექსპერტიზა);**
- **საექსპერტო დაწესებულების სხვა მომსახურება;**

**3.** მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 31 დეკემბრამდე**.

**4.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 6 სექტემბერს დღის 11 საათიდან - 17 საათამდე დახურულ კონვერტში** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24. ოთახი 214(საქართველოს გენ. პროკურატურის ეკონომიკურ დეპარტამენტი).

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ლიკვიდაცია რეორგანიზაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან);

დ) ცნობას რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

ე) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

**5.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო ნასამართლევი და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შ.ს.ს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან).

ბ) პირადი დამადასტურებელი მონაცემების დედანი და ქსეროქსი.

**5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) საჭირეობის შემთხვევაში - ლიცენზია შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ;

**6.** ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით.

**7.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**8.** პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

**9.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ნოდარი ფოცხვერაშვილი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24. ოთახი 214 (საქართველოს გენ. პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტი). ტ. 8 93-22-94-22 93-24-85;

**სატენდერო კომისია**

## შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს საქონლის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს შემდეგი საქონლის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ზომის ერთ. | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | მოტორ-ღერძული საკისარი | 8ტნ.263.028/029 | წყვ | 180 |
| 2 | სწრაფმოქმედი ამომრთველები, კონტაქტები და რკალმქრობები | სწრაფმოქმედი ამომრთველი ბვპ-5 | ც | 3 |
| | | სწრაფმოქმედი ამომრთველი ბვზ-2 | ც | 2 |
| | | სწრაფმოქმედი ამომრთველის კონტაქტი 8ტე.551.008 | ც | 25 |
| | | სწრაფმოქმედი ამომრთველის კონტაქტი 8ტე.551.009 | ც | 25 |
| | | სწრაფმოქმედი ამომრთველის კონტაქტი 8ტე.551.010 | ც | 25 |
| | | სწრაფმოქმედი ამომრთველის კონტაქტი 8ტე.551.011 | ც | 25 |
| | | რკალმქრობი ხვია მარცხენა 5ტრ.529.000 | ც | 10 |
| | | რკალმქრობი ხვია მარჯვენა 5ტრ.529.001 | ც | 10 |
| | | რკალმქრობი კამერა 5ტე.740.004 | ც | 3 |
| | | რკალმქრობი კამერა 5ტე.740.016 | ც | 3 |
| 3 | პრეშპანი | სისქე 0.5მმ | კგ | 350 |
| 4 | კლინგირიტი | სისქე 1.0-1.5მმ | კგ | 800 |
| 5 | კანიფოლი და კარბიდი | კანიფოლი | კგ | 10 |
| | | კარბიდი | კგ | 750 |
| 6 | კალიუმის ტუტე | ფხვიერი ფრაქცია | კგ | 4 000 |
| 7 | ხარგლისი | ხარგლისი | კგ | 100 |
| 8 | ქორდა | დრეკადი ქორდა | ც | 50 |
| 9 | სილა | სალოკომოტივო სილა | ტ | 4 000 |
| 10 | სიჩქარმზომის ლენტა | მარკა სლ-2 | მ² | 7 500 |
| 11 | ელმავლის ელექტრომაგნიტური კონტაქტორები | მკ-15-01 | ც | 5 |
| | | მკ-310ბ-38 | ც | 12 |
| | | მკ-310ბ-42 | ც | 12 |
| 12 | თბომავლის ელექტრომაგნიტური კონტაქტორები | სე-11 | ც | 8 |
| | | სც-11 | ც | 8 |
| 13 | ელმავლის ელექტროპნევმატური კონტაქტორები | პკ-21/22/23/24/25/26 | ც | 30 |
| | | პკ-31/33 | ც | 90 |
| | | პკ-41/43/054 | ც | 30 |
| 14 | თბომავლის ელექტროპნევმატური კონტაქტორი | სდ-11 | ც | 10 |

3. მოწოდების პირობა და ადგილი - **DDP**, ქ. თბილისი, ქავთარაძის №11ა;

4. მოწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე;

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **6 სექტემბრის** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირისთვის :**

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

*ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :*

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში;

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51, 56-40-26.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.